პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 42 (19184) სამშაბათი, 19 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

დავუბრუნოთ შახტებს ყოფილი დიდება

ათას ტონაზე მეტი საკოქსე სათბობი მიაწოდეს იანვრის დავალების გადამეტებით მომხმარებელს ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მშრომელებმა და გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად გაუსწრონ შრომის ნაყოფიერების ზრდის დაგეგმილ მაჩვენებელს, დაზოგონ ათიათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია, ათასობით მანეთის დამხმარე მასალები.

რიტმულად მუშაობენ წლის დამდეგიდან ტყიბულელი ქვანახშირის მამდიდრებლებიც. იანვარში მათ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას თებერვლის ანგარიშში გაუგზავნეს 2800 ტონა პროდუქცია, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საკონცენტრატის მოცულობა ცხრა პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება თერთმეტი პროცენტით გაადიდეს.

ტყიბულელებს არც ტყვარჩელელი მეშახტეები ჩამორჩებიან. აქ შეჯიბრებაში კვლავ სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის კოლექტივი პირველობს. ამ საწარმოს სამთოელებმა, როგორც უკვე ვიტყობინებოდით, შარშან ერთი თვით ადრე უპატაკეს სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება.

ერთი სიტყვით, გაჩაღებულია ქვანახშირის მომპოვებელთა თავდადებული და რთული ბრძოლა რესპუბლიკის მეშახტეთა ყოფილი დიდების აღორძინებისათვის. ახალი ენერგია შემატა სამთოელებს საქართველოს დაჯილდოებამ ზედიზედ მეთორმეტედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს მაღალი ჯილდო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე შეტანით შარშანდელი საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმაც დაიმსახურა. რესპუბლიკის მეშახტეები ორჯონიკიძელთა გამარჯვებას თავიანთ აღიარებადაც მიიჩნევენ და პირობას იძლევიან, რომ არაერთხელ გაახარებენ სამშობლოს ახალი მიღწევით.

იყო დრო, როცა ტყიბულელ, ტყვარჩელელ და ახალციხელ მეშახტეებს ბაძავდნენ, სწავლობდნენ, რესპუბლიკის მრავალი საწარმოს კოლექტივი ცდილობდა მათსავით საუკეთესო შედეგების მიღწევას და სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებას. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მეშახტეებისათვის ორმოცდაათიანი წლები. ამ პერიოდის დამლევისათვის რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობა სამ მილიონ ტონაზე მეტ სათბობს აძლევდა ქვეყანას. სამწუხაროდ, შემდგომ წლებში საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში სუბიექტივიზმით გამოწვეულმა ნეგატიურმა მოვლენებმა შახტებზეც უარყოფითად იმოქმედა. ახალი სამთო საწარმოების მშენებლობისადმი უპასუხისმგებლო, უსულგულო დამოკიდებულებამ დააკნინა დარგი, მკვეთრად შემცირდა ქვანახშირის ამოღება. საწარმოების გაუთავებელმა, წლობით გაჭიანურებულმა მშენებლობამ, ნაკლები მოცულობის სამუშაოების შესრულებამ თავისი გააკეთა. მიწისქვეშა სამუშაოები მიატოვა მრავალმა მაღალი კვალიფიკაციის გვირაბგამყვანმა და სხვა პროფესიის ადამიანმა.

ზემოხსენებულ საჭირბოროტო საკითხებიდან დღესაც ბევრი არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ შახტებში დაიწყო სასიკეთო გარდატეხები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დახმარებით შემუშავდა და ხორციელდება რესპუბლიკის მეშახტეთა ქალაქების ტყიბულისა და ტყვარჩელის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ღონისძიებანი 1985-1990 წლებისათვის. მიმდინარეობს მიზანდასახული მუშაობა ამ ღონისძიებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ეს პროგრამა სწორუპოვარია რესპუბლიკის მრეწველობის ამ დარგში.

პირადად ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე არა ერთხელ და ორჯერ იყო შახტებში, გაეცნო იქ მომუშავეთა შრომისა და ცხოვრების პირობებს, მთელი რიგი საგულისხმო რჩევები მისცა მათ. მანვე თავის გამოსვლაში, 1984 წლის ოქტომბერში გამართულ ქვანახშირის მრეწველობის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, მეშახტეებს დაუსახა კონკრეტული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა დააჩქარებს საქმის წინსვლას.

მიმდინარე ხუთწლედში ტყიბულის ერთ-ერთ შახტში განხორციელდა ქვანახშირის მომპოვებელი კომპლექსის დანერგვასთან დაკავშირებული ექსპერიმენტი, რომელმაც მთლიანად გაამართლა. გადიდდა ქვანახშირის ამოღება, შემცირდა მისი დანაკარგები, დაიზოგა დიდძალი ხე-ტყე. მომავალი ხუთწლედისათვის ასეთი სხვადასხვაგვარი კომპლექსი ტყიბულის ყველა შახტში დაინერგება. ცალკეული საბადოების მრავალმხრივი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელდა და ხორციელდება ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, დადებითად იჭრება სათბობის მოპოვების გადიდების ამოცანა.

ბევრი რამ გაკეთდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების განვითარებისათვისაც. ლენინის სახელობის შახტში დაინერგა ქვანახშირის სქელი ფენის შრეობრივი ამოღების ტექნოლოგია, რამაც საგრძნობლად გაზარდა ქვანახშირის უდანაკარგოდ ამოღება და თავი დააღწევინა შახტის კოლექტივს ჩამორჩენილობისაგან.

უსაფუძვლო აღმოჩნდა იმის მტკიცება, თითქოს ტყვარჩელში ქვანახშირი ილევა. თითქოს ქალაქი პროფესიას იცვლის... ამავე ლენინის სახელობის შახტის მეოთხე და მეხუთე მოედნების გეოლოგიური მარაგი 11,5 მილიონ ტონას შეადგენს. ასე რომ, ქვანახშირის მოპოვება ტყვარჩელში სამი ათეული წლის განმავლობაში არ შეწყდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქაური ქვანახშირის საბადოების სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის მთელი მონდომებით, პრინციპულობით, პირდაპირ შეუპოვრად იბრძვიან პარტიის აფხაზეთისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტები, საბჭოთა ორგანოები, სამეურნეო ხელმძღვანელები.

უკვე აღვნიშნეთ, რომ შემუშავებულია რესპუბლიკის შახტების განვითარების დიდი პროგრამა. ახლა საჭიროა ამ პროგრამის ყველა პუნქტის დროული და ვადამდე შესრულება, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება. „საქშახტმშენის" ტრესტმა, ბოლოს და ბოლოს უნდა შეასრულოს თავისი ფუნქციები და მთელი ყურადღება გაამახვილოს იმ მიმართულებით, რომელზედაც მისი სახელწოდება მიუთითებს, თუ ამ ტრესტს, როგორც ამას „საქქვანახშირის" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, გაცილებით უკეთესი საწარმოო ბაზა აქვს, ვიდრე ათი-თხუთმეტი წლის წინათ, რატომ უნდა ასრულებდეს იგი ახლა ოთხჯერ ნაკლები მოცულობის სამუშაოებს, ვიდრე ზემოხსენებულ პერიოდში? რატომ უნდა ეწოდებოდეს მას საქშახტმშენი, თუ იგი შახტების მშენებლობის გარდა ყველაფერს აკეთებს? ამ ტრესტის მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს.

ქვანახშირის საბადოების ეფექტიანი ათვისებისათვის მრავალი გადასაჭრელი პრობლემებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და, ალბათ, უმთავრესია შახტების კადრებით დაკომპლექტება. გადაუდებლად სჭირდებათ შახტებში გვირაბგამყვანები, მნგრეველები, მემანქანეები, სხვა პროფესიის ადამიანები. ყოველნაირად უნდა ავუხსნათ, განვუმარტოთ ახალგაზრდებს, დავარწმუნოთ ისინი, რომ მეშახტის პროფესია მეტად საპატიოა. იგი იხევე საამაყოა, როგორც მფრინავის, მეზღვაურის, მეფოლადის პროფესიები. მეშახტეებზე შეუნელებლივ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ 1984 წლის ნოემბრიდან სანგრევის მუშების სატარიფო განაკვეთი კვლავ გაიზარდა და თანაც ხოლიდურად — 30 პროცენტამდე. ახლა მეშახტეები თვეში 600-700 მანეთამდე იღებენ. მათ განკარგულებაშია შესანიშნავი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, მათ პირველ რიგში ეძლევათ საცხოვრებელი ბინები, მსუბუქი მანქანები და ვინ მოთვლის კიდევ რა.

ყველა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ შახტმა შობა ლეგენდარული ალექსი სტახანოვი, რომლის არნახულმა შრომითმა შემართებამ თავის დროზე მსოფლიო გააოცა. ეს იყო კაცი, რომლის ერთგული და თავდადებული შრომა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომუშავე ადამიანის საქმისადმი დამოკიდებულების საზომი გახდა.

სტახანოვური მოძრაობის ტრადიციები გრძელდება. ჩვენს შახტებში შრომობს ასობით საპენსიო ასაკს დიდი ხნის წინათ გადაცილებული ადამიანი, რომლებსაც აზრადაც არ მოსვლიათ სამუშაოს მიტოვება. ტყიბულის შახტის ერთ-ერთ სანგრევში დღესაც მთელი შემართებით იღვწის 72 წლის კომუნისტი, ახალგაზრდობის შესანიშნავი დამრიგებელი სანდრო ბაჩილავა. მან ხულ ახლახან საქვეყნოდ განაცხადა, მეშახტეზე უკეთესი პროფესია დედამიწის ზურგზე არ მეგულებაო. ამ ოცდაათიანი წლების ერთ-ერთი პირველი სტახანოველის აზრს იზიარებს ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მექანიკური საამქროს უფროსი, კომუნისტი, მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ოთარ ტოფაძეც. თითქმის ამდენივე ხანია, რაც მიწისქვეშა ელმავალს მართავს პოლიკარპე ქარქაშაძე. ასეთი ადამიანი ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებში, საბედნიეროდ, ერთი და ორი როდია. მათი დახმარებითა და მეცადინეობით ასობით ახალგაზრდა ეზიარა მეშახტის პროფესიას და გულით შეიყვარა იგი. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სამთოელი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გოდერძი ბოჭორიშვილი, რომლის აზრითაც მეშახტის პროფესია ყველაზე ვაჟკაცური და რომანტიკულია.

ეჭვი არ არის, რომ იმ სასიკეთო ძვრების შემდეგ, რომლებიც ტყიბულში და ტყვარჩელში დაიწყო, შახტებს მრავალი ახალგაზრდა მიაშურებს. ამიტომ მთელი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ მათ, შევუქმნათ შრომისა და ცხოვრების ყველა პირობა. გადაუდებელი ამოცანაა, მაგალითად, ტყვარჩელის სამთო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, უნდა გადაწყდეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის ადრე აქ არსებული ფილიალის აღდგენის საკითხი. ამით დაჩქარდება იმ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა ნაკლებობაც ასე მწვავედ იგრძნობა შახტებში.

მეტი მონდომებით უნდა ვიზრუნოთ მეშახტეთა ქალაქების მოვლა-გამშვენიერებისათვის, კეთილმოწყობილი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები უფრო ღრმად უნდა გაეცნონ ამ მამაცური პროფესიის ადამიანების ცხოვრებას, ხშირად ინახულონ შახტები, მიუძღვნან სამთოელების შემართებულ შრომას ღრმად გააზრებული, დამაჯერებლად დაწერილი სტატიები, კორესპონდენციები, ჩანახატები, ნარკვევები. უამრავი თემების მოძებნა შეუძლიათ მეშახტეთა ქალაქში თავიანთი შემოქმედებისათვის მწერლებსა და მხატვრებს. სამთოელები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო რომ, ისინი არ არიან განებივრებული თბილისის, სხვა ქალაქების წამყვანი მხატვრული კოლექტივების ყურადღებით, და ეს დასანანია.

მიმდინარე წლის თებერვლის უამინდობამ მეშახტეებს ბუნებრივია საზრუნავი მოუმატა. მიუხედავად ამისა, იმედია ზემოხსენებული წინსვლების შემდეგ, ჩვენი ნაცადი სამთოელები ყველაფერს იღონებენ მიმდინარე თვის გეგმის უთუო შესრულებისათვის, კიდევ ერთხელ დაუმტკიცებენ ყველას, რომ სირთულეებთან ჭიდილი მათი სტიქიაა.

სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, საბჭოთა ხალხის სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისა და სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მეშახტეთა ყველა კოლექტივმა დაისახა მაღალი მიჯნა. ტყვარჩელის 50 წლისთავის სახელობის შახტების მშრომელები, მაგალითად, ორი თვის დავალებას 24 თებერვლისათვის შეასრულებენ. მეორე შახტის კოლექტივი კი ამ დროისათვის მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 1000 ტონა სათბობს მიაწვდის.

მივაღწიოთ ახალ მიჯნებს, უზრუნველვყოთ სათბობით მრეწველობა — ასეთია დღეს ქვანახშირის მომპოვებელთა პატრიოტული გადაწყვეტილება.

არჩევნებისწინა შრომით ვახტზე

● ზუგდიდი. (საკ. კორ.) ჩაის საწნეხი ფაბრიკა (დირექტორი გ. სოსელია) ქალაქის სამრეწველო საწარმოთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა. მისმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალება.

აქაური მშრომელები, რომლებსაც არჩევნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილი აქვთ 24 თებერვლისათვის შეასრულონ ორი თვის გეგმა, ნაყოფიერად ირჯებიან: 14 თებერვლისათვის გეგმით გათვალისწინებული 9.859-ის ნაცვლად გამოუშვეს 10.132 ათასი მანეთის ნაწარმი, რაც შარშანდელ შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელზე საგრძნობლად მეტია.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და კეთილსინდისიერი მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან დ. თოდუა, ნ. კალანი, დ. ჭანია, ლ. ბარქაია, მ. პერტახია, ვ. შურღაია და სხვები.

● ონი. (საკ. კორ.) ორი თვის გეგმა — საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის! ასეთი ვალდებულება იკისრა ონის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე კოლექტივმა. საწარმო მთლიანად საშუალო სკოლადამთავრებული ქალიშვილებითა და ჭაბუკებით არის დაკომპლექტებული. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ დავალებას, აუმჯობესებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. მიმდინარე წლის მარტო იანვარში ფაბრიკამ გამოუშვა და სავაჭრო ბაზებს ჩააბარა 451 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 410 ათასი მანეთისა და დავალება 110 პროცენტით შეასრულა. მკერავები კარგად მუშაობენ თებერვალშიც.

დეპუტატობის კანდიდატი

სოფელი კაცითაა

მოასფალტებული გზა მდინარე დეხვას მისდევს. სოფლის ცენტრამდე ტანაყრილი ნაძვის ხეები ჩარიგებულან. მოსახვევს როგორც კი გაცდებით, თვალწინ გადაგეშლებათ კაპიტალურ ნაგებობათა კომპლექსი: კოლონადებით დამშვენებული კლუბ-კანტორა, ჩაის ფაბრიკა, საფუთავი ქარხანა. მდინარის გაღმა მოჩანს ახალაშენებული სკოლის ოთხსართულიანი შენობა. იგი 400 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული. ეს ქობულეთის რაიონის სოფელი ბობოყვათია.

ამ სოფელს თითქოს დაებედა, წინამძღოლად მუდამ შრომისმოყვარე, სიახლის მაძიებელი ადამიანები ჰყავდა. ასეა ახლაც. ამ კატეგორიას ეკუთვნის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ამირან ღლაიშვილი, რომელიც აქ 1972 წლიდან მუშაობს სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

იმ დღეს ადრე დილით ჩავედი სოფელში, მაგრამ თავმჯდომარეს კაბინეტში მაინც ვერ მივუსწარი. თოვლი ხავვრიელად ბარდნიდა. მანდარინის ხეებს აშკარად უჭირდა. თავმჯდომარეც ნარინჯებში ტრიალებდა.

სათუთად უვლიან ციტრუსის ნარგავებს. როგორ არ მოუვლიან, ის არის ბობოყვათელი გლეხკაცის სიმდიდრე, მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხ წელიწადში 15.500 ტონა მოიწიეს. ხუთწლედის გეგმას ოთხ წელიწადში 2.000 ტონით გადაამეტეს. ჩაიც უხვად მოჰყავთ, მარტო შარშან 1.900 ტონა მოკრიფეს — ოთხი წლის საგეგმოზე 800 ტონით მეტი.

— ამ ბოლო დროს რა შემატეთ სოფელს, — ვკითხე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— აი, ამ სკოლას რომ ხედავთ, — ამირანის ინიციატივით არის აშენებული. გახანგრძლივებული ჯგუფების ოთხასამდე მოსწავლეს უფასოდ ვკვებავთ. ავაშენეთ საბავშვო ბაღი, კაპიტალური ხიდი მდინარეზე, ხუთასნომრიანი სატელეფონო სადგური; მიკროფაბრიკა, გავიყვანეთ გზები... თავმჯდომარე განაგრძობდა ჩამოთვლას.

ამირანმა ცხოვრების რთული და შინაარსიანი გზა განვლო, ჯერ კომკავშირული მუშაობა, შემდეგ პარტიის რაიკომში, ახლა საბჭოთა ორგანოებში საქმიანობა. მშრომელებს უყვართ, აფასებენ, მან ეს თავდადებული, უანგარო შრომით დაიმსახურა. ამიტომაც იყო, რომ ოთხჯერ ზედიზედ აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად. არის პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი. შრომას დაფასებაც მოჰყვა. ამირან ღლაიშვილი ბობოყვათის, დაგვას, კვირიკეს მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. მისი იმედი აქვთ სოფლის ცხოვრების წინ წამოწევაში. გასაკეთებელი კი ბევრია. უნდა აშენონ ციტრუსების საფუთავი ქარხანა, ფერმა, ქვედა დაგვაში დაწყებითი სკოლის შენობა, კლუბი, კინოთეატრი, ორი საბავშვო ბაღი, საავადმყოფო, კეთილმოსაწყობია გზები...

ამ დიდ საქმეს, ცხადია, ამირან ღლაიშვილი ყურადღებასა და ზრუნვას არ მოაკლებს, ბოლომდე მიიყვანს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ა. ღლაიშვილი.
ნ. ანასტასიევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სანიმუშოდ დავამთავროთ პირუტყვის გამოზამთრება

დამთავრდა პირუტყვის გამოზამთრების პირველი ეტაპი. ანალიზმა ცხადყო, რომ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რესპუბლიკაში ხორცის სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა 2270 ტონით, რძისა — 2077 ტონით, კვერცხისა — 15 მილიონი ცალით. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 280 კილოგრამი რძე, ანუ 22 კილოგრამით მეტი.

გამოზამთრება განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს ბოგდანოვკის, გორის, ზესტაფონის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, მახარაძის, ხობის რაიონებში და აჭარის ასს რესპუბლიკაში.

ამასთანავე დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ პირუტყვის გამოზამთრებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო მთელ რიგ რაიონებში დაქვეითდა პირუტყვის პროდუქტიულობა, შემცირდა ფერმების პროდუქციის წარმოება და დამზადება, გაიზარდა საქონლის გაწყდომა. საშუალო წველადობა შემცირდა რესპუბლიკის 11 რაიონში.

პირუტყვის გამოზამთრების ათი ძირითადი მაჩვენებლიდან წითელწყაროს რაიონი ჩამორჩება ცხრა მაჩვენებლის მიხედვით, თელავის, ვანის და ჩხოროწყუს რაიონები — ექვსი, ხოლო ლაგოდეხის, დმანისის, თერჯოლის, ონის, ამბროლაურის, ლენტეხისა და გეგეჭკორის რაიონები — ხუთი მაჩვენებლის მიხედვით. გურჯაანის, სამტრედიის, საგარეჯოს, წალკის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში პირუტყვი არ არის უზრუნველყოფილი სადგომებით, არ განხორციელებულა სარემონტო სამუშაოები. ზოოტექნიკური აღრიცხვისა და ანგარიშების დადგენილი წესების უგულებელყოფის ფაქტები გამოვლენილია სამტრედიის, ქარელის, წალენჯიხის, თელავის, ბორჯომის, წალკისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში.

ბევრი რესპუბლიკური ორგანო ოპერატიულად არ წყვეტს პირუტყვის გამოზამთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამის შედეგად სერიოზულ სიძნელეებს აწყდებიან კომბინირებული საკვებით და საშენი მასალებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის საქმეში. ბევრი რაიონის მეურნეობებში აკლიათ საწვავ-საპოხი მასალები, ცალკეული აგრეგატები და კვანძები მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, აგრეთვე სათადარიგო ნაწილები ფერმებში მოწყობილობის შესაკეთებლად.

მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ მეცხოველეობის ინტენსიფიკაციას ფერმებში სამეურნეო ანგარიშის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაძლიერების საფუძველზე. ბევრ მეურნეობაში არ არის შექმნილი ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები მეცხოველეებისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობს რა პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს განახორციელონ ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების აღკვეთისათვის, სისტემატური კონტროლი გაუწიონ პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობას, რეგულარულად განიხილონ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის მოთხოვნათა შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საკვების რაციონალურ გამოყენებას, მეცხოველეობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, დარგის მუშაკთათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო პირობების შექმნას; პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების მეცადინეობა მოახმარონ იმას, რომ ფერმებში ყველგან დაინერგოს სამეურნეო ანგარიში; გაძლიერდეს მეცხოველეთა შორის ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტსა და რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცათ ოპერატიულად განიხილონ და გადაწყვიტონ პირუტყვის გამოზამთრების წარმატებით მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, დაეხმარონ ადგილობრივ ორგანოებს იმ სიძნელეების დაძლევაში, რომლებიც განსაკუთრებით შეიმჩნევა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების შეფერხებისას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს იმას, რომ დაუშვებელია კომბინირებული საკვების ფონდების განაწილების გაჭიანურება, რომელსაც შედეგად მოსდევს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგების შეფერხება და პირუტყვის პროდუქტიულობის დაქვეითება.

საქართველოს სსრ სახმომარაგებამ და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირველ რიგში ასაქონლებდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფონდებს საშენ მასალებზე, მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის საჭირო აგრეგატებზე და სარემონტო კვანძებზე.

რესპუბლიკის სახნავთობპროდუქტს დაევალა განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი მეცხოველეობის საწვავ-საპოხი მასალებით, განსაკუთრებით სადუმლე სათბობით შეუფერხებელი და მთლიანად უზრუნველყოფისათვის.

საქმთავარენერგოს დაევალა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა გააუმჯობესოს რესპუბლიკის მეცხოველეობის ობიექტების ელექტროენერგიით მომარაგება, არ დაუშვას დილისა და საღამოს საათებში ფერმებში წველისა და სხვა მექანიზებული სამუშაოების დროს მისი მიწოდების შეფერხება.

მეცხვარეობის რაიონების პარტიის რაიკომებსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ გააგზავნონ დამატებითი მუშაკები მეცხვარეების დასახმარებლად დოლის ორგანიზებულად მოწყობაში. (საქინფორმი).

ყველასათვის სავალდებულო ეკონომია

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება და ყაირათიანი ხარჯვა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუდმივი ზრუნვის საგანია. მაგრამ გართულებულ მეტეოროლოგიურ პირობებში ეს საკითხები გადიდებულ ყურადღებას მოითხოვს.

იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყონ შექმნილ სიტუაციაში ყველა სახეობის სათბობის, ელექტროენერგიის, საწვავ-საპოხი მასალების რაც შეიძლება რაციონალური გამოყენება, აღკვეთონ მათი ფლანგვა, იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და ხარჯვის პროცესების მართვის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე.

რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ საგეგმო დავალებებს და მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს აღწევენ, ამასთან ყაირათიანად ხარჯავენ ენერგორესურსებს, იყენებენ დადგენილ ლიმიტზე ნაკლებ ელექტროენერგიას. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ლიმიტზე 3,3 პროცენტით ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს. სტაბილურად იცავენ ელექტროენერგიის ხარჯვის სადღეღამისო და თვიურ ლიმიტებს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, ცხინვალის ქარხანა „ემალსადენი", სხვა საწარმოები.

მაგრამ დადგენილ ლიმიტზე 12-20 პროცენტით ნაკლები ელექტროენერგიის ხარჯვის ფაქტები, მაგალითად, თბილისის გაზის აპარატურის ქარხანაში, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში", ამავე დროს გვაფიქრებს იმაზე, თუ რამდენ შესაბამება ლიმიტები საწარმოს რეალურ მოთხოვნილებებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმების შედეგად გამოვლენილია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების აშკარა ფლანგვის ფაქტებიც. მაგალითად, თბილისის სუპარფიუმერიო-კოსმეტიკურ ფაბრიკა „ივერიაში" არადამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაშია საქვაბე, სამივე ქვაბს კაპიტალური რემონტი სჭირდება, არ შესრულებულა სარეჟიმო-გასამართავი სამუშაოები, არ მოქმედებს გაზის მიწოდების რეგულირების ავტომატიკა, არა აქვთ გაზის ანალიზატორები.

როგორც დადგინდა, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში უმიზნოდ უნთიათ ნათურები. არადა, ხომ ვიცით, რომ დღისით გამოურთავი ელექტრონათურები ქალაქისა და რესპუბლიკის მასშტაბით ათასობით და ათიათასობით კილოვატს ხარჯავს. არსებითი ნაკლოვანებებია ამ საწარმოში სითბური ენერგიის გამოყენებაშიც.

რუსთავის საშენ მასალათა კომბინატში, რომელიც წარმოების ყველა უბანზე საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებითაა აღჭურვილი, არ წარმოებს ენერგორესურსების ხარჯვის საამქრო აღრიცხვის ანალიზი და ამის გამო კონტროლი არ ეწევა მათი დაზოგვის რეზერვების გამონახვის სამუშაოებს.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშაობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ საწარმოს რიტმულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. თანდათან სწორდება რთული მდგომარეობა, რომელიც აქ შეიქმნა ნედლეულის არათანაბარზომიერი მიღების შედეგად. ეს ზრდის ბენზინის, მაზუთის, სხვა ნავთობპროდუქტების გამოშვებას.

გაუმჯობესება შეინიშნება გაზის მიწოდებაში.

სხდომის მონაწილეებმა დასახეს ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი. აღინიშნა, რომ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც გადახარჯეს ელექტროენერგია და სხვა ენერგორესურსები, განხორციელდება დასჯის უმკაცრესი ღონისძიებანი, ამასთან მომარაგების წყაროებიც კი გამოერთვებათ. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ქუჩა-მოედნების რაციონალურ განათებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის დაზოგვას.

სამუშაო ჯგუფის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია. (საქინფორმი).

დიდი ოსტატობა

რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მოვლენა გახდა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის საიუბილეო კონცერტები, რომლებიც მიეძღვნა ამ სახელმოხვეჭილი კოლექტივის დაარსების 60 წლისთავს. ორკესტრის კონცერტებმა, რომლებიც სამ დღეს მიმდინარეობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, მიიზიდა სიმფონიური მუსიკის, ფართოდ ცნობილი მუსიკოსთა კოლექტივის დიდი ხელოვნების მრავალი თაყვანისმცემელი.

საქართველოს ორკესტრის დამახასიათებელ ნიშანს შექმნის პირველი დღეებიდანვე წარმოადგენდა ის, რომ იგი მუდამ ადგა საკუთარ შემოქმედებით გზას. როგორც წესი, ორკესტრი იყო და არის ქართველ კომპოზიტორთა ბევრი ნაწარმოების პირველი შემსრულებელი, რუსული, საბჭოთა, საზღვარგარეთული თანამედროვე და კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშების აქტიური პროპაგანდისტი და ინტერპრეტატორი. კონცერტიდან კონცერტამდე ორკესტრი მკაფიოდ განსაზღვრავდა თავის შემოქმედებით სახეს. დიდია მისი როლი სიმფონიური მუსიკის ტრადიციის განვითარებაში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს იშვა.

სხვადასხვა დროს ორკესტრს უძღვებოდნენ თვალსაჩინო ქართველი დირიჟორები, ხოლო უკანასკნელი თორმეტი წელიწადია მას უცვლელად მეთაურობს ნიჭიერი მუსიკოსი, ექსპერიმენტისა და ძიებისათვის ნიადაგ შემართული დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ჯანსუღ კახიძე. მისი ხელმძღვანელობით ორკესტრმა პროფესიონალიზმის ახალ მწვერვალებს მიაღწია. ეს დაადასტურა კონცერტმაც, რომელიც 18 თებერვალს გაიმართა.

კონცერტს, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე.

(საქინფორმი)

ურთიერთკავშირის არხი

ღია წერილის დღე რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში"

მშრომელთა წერილები და მიმართვები ხალხისა და მართვის ორგანოების ურთიერთკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არხია. რაც უფრო მჭიდროა ხალხთან კავშირი, მით უფრო ძლიერია მართვის ორგანოები, მით უფრო ეფექტიანად წყდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პრობლემები. იმ წერილების რიცხვის ზრდა, რომლებიც შეიცავს ამ პრობლემების გადაჭრის წინადადებებს, სხვადასხვა ვარიანტს, მოწმობს საზოგადოების საქმეთა მართვაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოებას. ისინი გვეხმარება უკეთ ვერკვეოდეთ ვითარებაში, უფრო ობიექტურად ვაფასებდეთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას, უფრო ცხადად ვხედავდეთ ნაკლოვანებებსა და მათი აღმოფხვრის გზებს.

ამის დამაჯერებელი დადასტურება გახდა ღია წერილის დღე, რომელიც 16 თებერვალს გაიმართა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში". მას უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი. ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციული ორგანოების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს აქ მოწვეულ ხელმძღვანელებთან ერთად მან ამომწურავი პასუხი გასცა საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წერილებსა და მიმართვებში დასმულ შეკითხვებს.

საქმიან, გულახდილ, დაინტერესებულ დიალოგს ტონი მისცა უკვე თავად ღია წერილის დღისათვის მზადებამ. მომავალი სჯაბაასის თემამ — „დისციპლინისა და შრომის ორგანიზაციის საკითხები", რომელიც წინასწარ აცნობეს მთელ კოლექტივს, განსაზღვრა გაერთიანების პარტიულ კომიტეტსა და მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქციაში მიღებული ფოსტის შინაარსი და ხასიათი. 150-ზე მეტმა წინადადებამ და სურვილმა, რომლებიც გამოითქვა შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და მისი პირობების გაუმჯობესების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების პრობლემებზე, ყოფა-ცხოვრების სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, გამოხატა თითოეულისა და მთელი კოლექტივის გუნება-განწყობილება და მოთხოვნები.

ამ საწარმოს კოლექტივი, რომელიც ახლა რთულ პროცესს განიცდის — ძლევს ბოლო წლებში დაშვებულ ჩამორჩენას, ბევრი მწვავე პრობლემა დაუგროვდა. შემაშფოთებელი სიმპტომები გაჩნდა ჯერ კიდევ გასული ხუთწლედის დამლევს, როცა წარმოების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩა პოტენციურ შესაძლებლობებს, რასაც თავის მხრივ ახლდა მთლიანად შრომის ეფექტიანობის შემცირება, და ეს უარყოფითი ტენდენცია, სამწუხაროდ, მეტად მყარი, „ქრონიკული" გახდა.

წარმოების გეგმების შეუსრულებლობა, ზრდის ტემპის შენელება, სიმძლავრეთა გამოყენების დაბალი დონე, ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად რომ აწევს გაერთიანებას, წარმოშობს აუცილე-

(დასასრული მე-2 გვ.)

ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ

ამომრჩეველთა შეხვედრა ვ. ვ. გრიშინთან

იყვნის სამაგალითონი ქვეყნისათვის — ლენინის ამ ანდერძს წმიდათა წმიდად იცავენ დედაქალაქის მშრომელები, რომლებიც გვიჩვენებენ მაღალი ორგანიზებულობის, თავდადების, კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის შემოქმედებითი შრომის ნიმუშებს. ენთუზიაზმით ემზადებიან მოსკოველები სკკპ XXVII ყრილობისათვის, დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის.

18 თებერვალს გაიმართა დედაქალაქის ვეშნიაკოვსკის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ვიქტორ ვასილის ძე გრიშინთან.

დამსწრეთ აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — მოსკოვის პროჟექტორების ქარხნის ელექტროშემდუღებელმა ა. გ. ლუკიანოვმა ილაპარაკა ვ. ვ. გრიშინის ცხოვრებისეული გზისა და შრომითი მოღვაწეობის შესახებ, მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად მოსკოველთა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შესახებ ილაპარაკეს შეხვედრაზე საკავშირო სახელმწიფო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „სოფლენერგოპროექტის“ განყოფილების გამგემ ი. მ. კადიკოვმა, № 15 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს ექიმმა ს. ნ. კირილოვამ, პეროვის სავაჭრო მანქანათმშენებლობის ქარხნის დირექტორმა ვ. ა. მოროზოვმა. მათ განაცხადეს, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და სავსებით უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის ლენინურ კურსს, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების შემდგომი ზრდა, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

სიტყვა წარმოთქვა ვ. ვ. გრიშინმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან უდიდესი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომლებმაც დაასახელეს იგი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოსა და მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხები, თქვა ორატორმა, არჩევნებს ეგებებიან, როგორც დიდ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას. საარჩევნო კამპანიის დროს ნათლად იჩენს თავს საბჭოთა წყობილების უშრეტი სასიცოცხლო ძალები, სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის უპირატესობანი. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილი ხუთი წელი ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად დაძაბული მუშაობის წლები იყო. ეს წლები აღინიშნა დიდი მიღწევებით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა პარტიის ხელმძღვანელი როლი, განმტკიცდა მისი კავშირი მასებთან. კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, გაღრმავდა და გაფართოვდა დემოკრატია, პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლის საქმიანობა უფრო მიზანდასახული, მუშაობაში მაღალი პრაქტიკული შედეგების მისაღწევად გამიზნული გახდა.

დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გზაზე. გეგმაზომიერად წყდებოდა განვითარების ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადაყვანის ამოცანები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენების, ყველა რესურსის ყაირათიანი, რაციონალური ხარჯვის საფუძველზე. ნამდვილად საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამების განხორციელება.

დეპუტატობის კანდიდატმა აღნიშნა, თუ რა დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის ფედერაციის მშრომელებმა ქვეყნის საერთო მიღწევებში და დაახასიათა მოსკოველთა მუშაობა გასული წლების მანძილზე. მან ხაზი გაუსვა, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დედაქალაქის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მოსკოვის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ვადამდე შესრულდა ხუთწლედის ოთხი წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. 1980 წლიდან გასულ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მატება მთლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად არის მიღებული, შესრულდა კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა. მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო სიმძლავრეები და ხიდები მდინარე მოსკოვზე, რკინიგზებზე და საავტომობილო გზებზე გადებული დიდი ესტაკადები. აშენდა ასობით სკოლა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულება, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, კულტურის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებანი. მიმდინარეობს მრეწველობის, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის საწარმოთა ფართო რეკონსტრუქცია.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ქალაქ მოსკოვს ყოველწლიურად ენიჭებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს დროშა მიენიჭა დედაქალაქს 1984 წელსაც.

წინა წლებში მოსკოვის ეკონომიკის განვითარების შედეგების გაანალიზებისას ორატორმა ილაპარაკა გრეთვე ნაკლოვანებებზე, მათი აღმოფხვრის გზებზე. მაგალითად, მრეწველობაში არის შეცდომები დაგეგმვასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, უშვებენ გეგმების კორექტირებას მათი შემცირების მიზნით, ნელა ითვისებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს.

ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ განვლილ პერიოდში, თქვა ამასთან დაკავშირებით დეპუტატობის კანდიდატმა. უმყარება რა შეძენილ გამოცდილებას, საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, განსაზღვრა მიმდინარე წელს და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მოსკოვის განვითარების ძირითადი ამოცანები. ახლა მთავარია წარმატებით შევასრულოთ 1985 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი.

როცა შეეხო შემდგომი წინსვლის პერსპექტივებს, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია გვასწავლის კრიტიკულად შევაფასოთ ის, რაც გავაკეთეთ, გამოვავლინოთ გამოუყენებელი რეზერვები. სწორედ ასეთი უნარით, ნათლად ხედავდნენ პერსპექტივას, სახავდნენ ახალი სიმაღლეებისაკენ წინსვლის ყველაზე ეფექტიან გზებს, გამსჭვალულია პარტიის დოკუმენტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვები და შრომები.

ვ. ვ. გრიშინმა დიდი ყურადღება დაუთმო ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების, ტექნიკური დონისა და პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივი ამაღლების საჭიროებასთან, მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცებასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნიმუში, ეტალონი უნდა იყოს მოსკოვში განხორციელებული მშენებლობა. ეფექტიანი მუშაობის მაგალითს უნდა გვიჩვენებდნენ ყველა სახეობის ტრანსპორტის, მოსახლეობის მომსახურების კოლექტივები.

მომავალი სკკპ XXVII ყრილობა, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, იწვევს საბჭოთა ადამიანების, მათ შორის მოსკოველების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის მოზღვავებას. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ დედაქალაქის მშრომელები მაღალი საწარმოო მიღწევებით შეხვდებიან მას, კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლებენ პარტიის გეგმების შესრულებისათვის, სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

დიდი მიღწევების დრო

ამომრჩეველთა შეხვედრა ს. ე. ხაბეიშვილთან

მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის საერთო სახალხო ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ახმეტის რაიონის მშრომელებს. ისინი ცდილობენ აამოქმედონ შრომის ეფექტიანობის გადიდების, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ყველა რეზერვი, დააჩქარონ თუშეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპი.

№228 ახმეტის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან სოლიკო ევტიხის ძე ხაბეიშვილთან შეხვედრის დროს თქვეს, რომ მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ისწრაფვიან განახორციელონ პარტიის გეგმები. ეს შეხვედრა 16 თებერვალს გაიმართა ახმეტის კულტურის სახლში.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ა. ი. მიშიძემ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ხ. დ. მუქურაშვილი. გააშუქა რა ს. ე. ხაბეიშვილის ცხოვრების გზა და შრომითი საქმიანობა, მან ამომრჩევლებს მოუწოდა არჩევნების დღეს — 24 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს.

კრებაზე გამოვიდნენ ახმეტის №2 საშუალო სკოლის დირექტორი ე. ლ. გიორგაძე, სანერგე მეურნეობის მუშა, ახალგაზრდა ამომრჩეველი ც. ზ. ქინქლაძე, რაიონის სამრეწველო კომბინატის საამქროს უფროსი ნ. გ. მაისურაძე, ხე-ტყის კომბინატის დირექტორი ზ. დ. ჯანაშია, რაიონული საავადმყოფოს ექიმი ლ. ბ. ჯუგაშვილი, ხალხური მთქმელი ი. შ. ლონგიშვილი, რომლებმაც აღნიშნეს, თუ რა დიდი გარდაქმნები მოხდა თუშეთში წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში, რა წარმატებებს აღწევენ ახმეტის რაიონის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში, რა ამოცანები აქვთ დასახული სამერმისოდ.

კრებაზე გამოვიდა ს. ე. ხაბეიშვილი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომლებმაც მაღალი ნდობა გამოუცხადეს და დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ახლანდელი საარჩევნო კამპანია განსაკუთრებულია, თქვა ამხ. ხაბეიშვილმა, იგი მიმდინარეობს პერიოდში, რომელიც აღსავსეა ღირსშესანიშნავი საქმეებითა და სახელოვანი მოვლენებით. ჩვენ დაგვიდგა მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ წელს, თითოეული თავის უბანზე, თავის სამუშაო ადგილას, დამოკიდებულია ის, თუ რა შედეგებით მივაღწევთ ფინიშს, როგორ დავიწყებთ მეთორმეტე ხუთწლედს. ახლა რესპუბლიკაში მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადება, რომლებზეც შეჯამდება ჩვენი დიდი მუშაობის შედეგები, დაისახება კონკრეტული სამოქმედო პროგრამა მერმისისათვის. და ცხადია, რომ ყოველი კომუნისტი, ყოველი მშრომელი საკუთარ თავს უსვამს კითხვას:

რა შრომით საჩუქარს ვუმზადებ მშობლიური პარტიის ყრილობას, როგორია პირადად ჩემი ადგილი, ჩემი როლი საყოველთაო-სახალხო საყრილობო შეჯიბრებაში? და უბრალოდ კი არ სვამს ამ კითხვას, არამედ გულმოდგინედ შრომობს, აღწევს მაღალ მაჩვენებლებს.

საქართველოს ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა. ჩვენ, ისევე როგორც მეთერთმეტე ხუთწლედის გასული წლები, წარმატებით დავამთავრეთ 1984 წელიც. მნიშვნელოვნად დაჩქარდა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 220 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. კარგად იმუშავეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

რესპუბლიკის მიერ მიღწეული წარმატებები მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბოლო წლების მანძილზე ყველა ფორმის დისციპლინის განმტკიცებამ, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე სათანადო წესრიგისა და ორგანიზებულობის დამყარებამ.

რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებში, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, მნიშვნელოვანია ახმეტის რაიონის მშრომელთა წვლილიც. თქვენი კუთხე მდიდარი ისტორიული ტრადიციებით, შრომისმოყვარე ადამიანების მხარეა. ბოლო წლებში აქ ფართოდ განვითარდა მრეწველობა, თანამედროვე სოფლის მეურნეობა, კულტურა. დღეს რაიონის ეკონომიკას წარმოადგენს 11 საბჭოთა მეურნეობა, მეფრინველეობის რეპროდუქტორი, ექვსი სამრეწველო და ორი სატრანსპორტო საწარმო. რაიონში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არც ერთი სასწავლებელი არ ყოფილა, დღეს 47 ზოგადსაგანმანათლებლო და 6 სამუსიკო სკოლა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ორი მუზეუმი, 55 ბიბლიოთეკაა. ორატორმა მოიყვანა იმ დიდი ცვლილებების დამადასტურებელი მაგალითები, რომლებიც აქ მოხდა წინა არჩევნების შემდეგ განვლილ დროში. როცა თუშეთში სოფელ ომალომდე გაყვანილი ახალი ავტომაგისტრალით ავიდა პირველი ავტომობილი, დაიწყო დიდი ხნის წინათ ჩამქრალი კერების აღორძინების პროცესი. ომალოსთან ერთად აქტიურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ სოფლები წოკალთა, ხიხოსჭალა, ჩიგო, გირევი, ვერხოვანი, დიდაკურთა და სხვები. მიტოვებული, უკაცრიელი სოფლების ადგილას აღიმართა ლამაზი სახლები, აინთო ელექტრობა, აციმციმდა ტელევიზორების ცისფერი ეკრანები, აწკრიალდა ტელეფონები, ალაპარაკდა რადიორეპროდუქტორები. შეიქმნა თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ახლა 330 სული საქონელია, მათ შორის 110 მეწველი ფური და 8400 ცხვარი.

შარშანდელი წელი რაიონის მეურნეობამ მოგებით დაამთავრა. მისი მშრომელები მიწისგან იღებენ ყველაფერს, რისი მოცემაც მას შეუძლია. შარშან ვენახების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა ხუთწლედის სამ წინა წელთან შედარებით 36,2 პროცენტით გაიზარდა. სასიხარულოა, რომ ვენახებში, ისევე როგორც საერთოდ სოფლად, სამუშაოდ სულ უფრო მეტი ახალგაზრდობა მოდის. შარშან რაიონში შეიქმნა 14 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომლებიც 450-ზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს აერთიანებენ. დადებითი ტენდენციები დაისახა მეცხოველეობის აღმავლობაშიც. განსაკუთრებით არსებითი ძვრები მოხდა მეცხვარეობაში. წარმატებით შესრულდა სულადობის გეგმა, გადაჭარბებულია ნამატის დავალება. კარგად იშრომეს მეაბრეშუმეებმაც.

შესამჩნევი წარმატებაა მიღწეული რაიონის მრეწველობაში, რომელსაც ახასიათებს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ზრდის მყარი ტენდენცია. 1,7 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, 0,8 პროცენტით შემცირდა თვითღირებულება. დიდი და ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული შინაგანი რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის. შარშან გამოვლინდა და წარმოების სამსახურში ჩადგა 2 მილიონ 321 ათასი მანეთის საერთო თანხის რეზერვები — თითქმის ნახევარი მილიონი მანეთით მეტი 1983 წელთან შედარებით.

ფართოდ ვრცელდება მუშაობის პროგრესული ფორმები. რაიონის პირობებში, მაგალითად, კარგი გამოდგა შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა. ახლა იგი მოიცავს მთელი ბრიგადების მესამედს, ანუ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში დასაქმებულთა დაახლოებით 40 პროცენტს. წლითიწლობით მტკიცდება მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დამთავრდა ახმეტის ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია, რამაც თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე დააყენა ღვინის წარმოება. ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა. წარმატებით დაამთავრეს წელი აგრეთვე მშენებლებმა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს მუშაკებმა. აღნიშნა რა დადებითი ძვრები, დეპუტატობის კანდიდატი დაწვრილებით შეეხო ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს, ახმეტელთა წინაშე ჯერ კიდევ მდგომ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა რაიონს საშუალებას მისცემს მიაღწიოს მოწინავე მიჯნებს, სანიმუშო გახდეს რესპუბლიკის დანარჩენი რაიონებისათვის.

საერთო მოცულობაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წილი, მაგალითად, მხოლოდ 2,6 პროცენტს შეადგენს. არადა, რაიონში ხომ არის საწარმოები, რომლებსაც შეუძლიათ დაამზადონ მაღალხარისხოვანი პროდუქცია, აითვისონ ახალი ხარისხოვანი საქონლის გამოშვება, რომელიც მოთხოვნით სარგებლობს.

შემდეგ ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ უნდა გაფართოვდეს სახალხო სარეწები, რომლებითაც ასე განთქმულია ახმეტის რაიონი, ყოველმხრივ გაფართოვდეს, შეიქმნას მისთვის საიმედო ბაზა, მთელი ეს საქმე მოექცეს ერთ ხელში.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში დიდ მუშაობას ეწევიან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. ამის შედეგად 1984 წელს 617 საწარმომ გამოუშვა დაახლოებით 6 მილიარდ 900 მილიონი მანეთის ასეთი საქონელი, რაც 160 მილიონი მანეთით აღემატება წლიური გეგმით დამტკიცებულ მოცულობას. რესპუბლიკაში მუშავდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების 2000 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებული პროგრამა. ამ პროგრამაში ზუსტად უნდა განისაზღვროს თავისი ადგილი ახმეტის რაიონმაც. და ეს წარმოება არ უნდა ჩამორჩებოდეს საშუალო რესპუბლიკურ დონეს ზრდის ტემპის მიხედვით. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს „ს“ — ინდექსიანი ნაწარმის დამზადება. ამის შესაძლებლობანი დიდი აქვს რაიონს, ოღონდ საჭიროა მათი მარჯვედ გამოყენება.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით შეეხო მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და მომსახურების სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ ამ დარგებში დადებითი ძვრები მოხდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო გადასაჭრელ საკითხებს. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზამთარში ტრანსპორტმა უკეთ და უფრო შეწყობილად უნდა იმუშაოს. ბევრი რამ გაკეთდა, აღნიშნა ორატორმა, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამოქმედდა მომსახურების სფეროს ახალი თანამედროვე ობიექტები, აქედან უმეტესობა — სოფლად. ამავე დროს გვაწუხებს ამ დარგებში ჯეროვანი წესრიგის დამყარების საკითხი.

მთავარი საკითხი, მთელი ჩვენი სამომავლო წარმატებებისა და მიღწევების ქვაკუთხედი იყო და კვლავ არის თანამიმდევრული ბრძოლა შეგნებული, კომუნისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, რომელიც უნდა გახდეს თითოეული ადამიანის მოთხოვნილება. ის, თუ რა დიდ, სისტემურ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცნობილია. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების, ჩვენი ცხოვრების წესის ყოველგვარი ანტიპოდების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები სულ უფრო მეტად და მეტად ხდება პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, კომუნისტების, მშრომელების ღვიძლი საქმე.

მაგრამ ეს ბრძოლა ხანმოკლე კამპანია არ არის და ადრეა წერტილის დასმა, საბოლოო შედეგების შეჯამება. ბოროტება ჯერ არ არის ამოძირკვული, სენი არ არის განკურნებული. და იგი დროდადრო თავს იჩენს ხოლმე. ამის შესახებ საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა 14 თებერვალს რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე.

დღეს სიამოვნებით აღვნიშნავ, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ იმ პარტიული კომიტეტების რიცხვში, რომლებიც სისტემურ, მოფიქრებულ, თანამიმდევრულ მუშაობას ეწევიან დისციპლინისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, აქტივზე პარტიის ახმეტის რაიკომიც დაასახელეს. ეს მაღალი შეფასებაა. ბუნებრივია, რომ იგი გვახარებს, მაგრამ ბევრსაც გვავალებს. თქვენთვის ხომ, რა თქმა უნდა, საიდუმლო არ არის, რომ რაიონში ჯერ კიდევ ყველაფერი ერთმანეთისაგან განუყოფელია. როდია გაკეთებული ამ მიმართულებით.

ეკონომიკა და მართლწესრიგი — რაც უფრო უკეთ ვიმუშავებთ, რაც მეტ წარმატებას მივაღწევთ, რაც უფრო მტკიცე იქნება ჩვენი ეკონომიკა, მით ნაკლები ხვრელი დარჩებათ იოლი გამდიდრების მოყვარულებს, მით უფრო ადვილად ამოვძირკვავთ სოციალურ ბოროტებას. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს მაღალხარისხოვანი [illegible] სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის, მიმდინარე ეკონომიკურ ექსპერიმენტებს, მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას. დისციპლინის განმტკიცებისათვის, ორგანიზებულობისა და წესრიგისათვის ბრძოლა ნიშნავს არა მარტო დარღვევების აღკვეთას, დამნაშავეთა დასჯას, არამედ აგრეთვე ეკონომიკის სრულყოფას, სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას, ყველგან საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევას.

დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩევლებს აცნობა, თუ როგორ სრულდება გასული საარჩევნო კამპანიის დროს გამოთქმული განაწესები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროა ხალხთან განუყრელი კავშირი, უფართოესი მასების ჩაბმა ქვეყნის მართვაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებს თანამიმდევრულად გასდევს აზრი, რომ უნდა ავამაღლოთ საბჭოების როლი, კიდევ უფრო გავააქტიუროთ მათი ორგანიზატორული მუშაობა, გავაღრმაოთ დემოკრატიული საწყისები მათი საქმიანობის ყველა სფეროში. ამჟამად, ხაზი გაუსვა ორატორმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს საპროგრამო სტატიაში — „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნების დონეზე“ — ჩამოყალიბებული თეორიული დებულებების, პრაქტიკული რჩევა-დარიგებისა და რეკომენდაციების ყოველმხრივი გათვალისწინება. ამ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტში, რომელიც აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიის, სტრატეგიისა და ტაქტიკის აქტუალურ პრობლემებს, ყოველმხრივ არის გააზრებული ქვეყნის მიერ განვლილი გზა, მოცემულია დღევანდელი ვითარების მეცნიერული შეფასება, დასახულია ჩვენი შემდგომი წინსვლის ახალი ამოცანები.

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანების, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლის ამოცანების გადაწყვეტას. ეს ძალზე საჭიროა ახლანდელ ეტაპზე, „რთულ, შფოთიან, ნიადაგ ცვალებად მსოფლიოში“, ჩვენი ქვეყნის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმის გააფთრებული გამოხდომების პირობებში.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის გენერალური კურსის განხორციელებისათვის ბრძოლაში პარტიისა და ხალხის მოქმედების პროგრამაა. რა თქმა უნდა, ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელების საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყოველმა შრომითმა კოლექტივმა. განზე ვერ დარჩებიან, რა თქმა უნდა, ვერც ახმეტის რაიონის კომუნისტები და მშრომელები. თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან რაიონის საზოგადოებრიობამ, მისმა სახალხო ინტელიგენციამ, კომკავშირულმა ორგანიზაციამ, სახელოვანმა ახალგაზრდობამ. მათ უნდა განაგრძონ მამა-პაპათა მიერ დაწყებული საქმე, ამრავლონ სამშობლოს დიდება, განამტკიცონ მისი ეკონომიკური ძლიერება.

დასასრულ ს. ე. ხაბეიშვილმა კიდევ ერთხელ გულწრფელი მადლობა გადაუხადა მშრომელთა კოლექტივებს დიდი პატივისათვის — წარმოადგენდეს მათ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, აღუთქვა, რომ კვლავაც ერთგულად ემსახურება პარტიას და ხალხს. (საქინფორმი).

კარტოფილის მინდვრის რეზერვები

მექანიკური რწყვის სადგურის ამოქმედების შედეგად კიდევ 100 ჰექტარი კარტოფილის მინდორი ირწყვება მარნეულის რაიონის გამარჯვებისა და კონსტიტუციის სახელობის საბჭოთა მეურნეობებში. სარწყავ მიწებზე აქ დასახული აქვთ მოიწიონ მნიშვნელოვნად მეტი მოსავალი, ვიდრე ურწყავ მიწებზე.

ამ დღეებში რაიონში მიმდინარეობს კარტოფილის მასობრივი თესვა. ალამედლის, კასუმლოს, გამარჯვებისა და კონსტიტუციის სახელობის საბჭოთა მეურნეობებმა უკვე დათესეს დაახლოებით 400 ჰექტარი.

სულ მარნეულელებმა შემჭიდროებულ ვადებში — ორ კვირაზე ნაკლებ დროში — კარტოფილი უნდა დათესონ 2700 ჰექტარ ფართობზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ რაიონმა შარშანდელთან შედარებით უნდა დაამზადოს მნიშვნელოვნად მეტი კარტოფილი, რათა აინაზღაუროს გასული წლის დანაკლისი.

საგაზაფხულო თესვა დაიწყეს ბოლნისის რაიონის მეკარტოფილეებმაც, საადრეო კარტოფილის უხვი მოსავლის მოწევას აპირებენ არახლოს, სარაჩლოს და სხვა მეურნეობების მშრომელები, რომლებიც დადგნენ სკკპ XXVII ყრილობისა და ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავ საპატიო ვახტზე. ბოლნისელებმა ვალდებულება იკისრეს მიჰყიდონ სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 51.600 ტონის ნაცვლად სულ ცოტა 52 ათასი ტონა კარტოფილი. 25 ათას ტონაზე მეტი გაიგზავნება საკავშირო ფონდში. (საქინფორმი).

ტექნიკას ამზადებენ სამუშაოდ

გაზაფხული მინათ-მოქმედს აჩქარებს



გრაფიკის გასწრებით ამზადებენ ტექნიკას მინდვრის სამუშაოებისათვის ყვარლის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მექანიზატორები. 1 თებერვლისათვის უკვე შეკეთებული იყო 89 ტრაქტორი, გეგმით გათვალისწინებული 66-ის ნაცვლად, 92 ავტომანქანა დავალებით გათვალისწინებული 85-ის ნაცვლად. შეიარაღებულნი ხვდებიან გაზაფხულს გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის და სარემონტო-საექსპლოატაციო გაერთიანების მექანიზატორები, სოფელ გავაზის კოლმეურნეობის მშრომელები.

სურათებზე: ყვარლის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სარემონტო-საექსპლოატაციო გაერთიანების მოწინავე ხარატი ტარიელ პაკოწაშვილი; სოფელ გავაზის კოლმეურნეობის ტექნიკა მზად არის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

გ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აღმშენებლობის კურსით

გამოვიდა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წიგნი „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის გზით“

ყოველი დიდი ისტორიული მიჯნა ჩვენს პარტიას, ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრიობას ახალ ამოცანებს უსახავს. ამ თავისებურების გათვალისწინება, შემდგომი წინსვლის შესაბამისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება — ეს არის, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი სიბრძნე პოლიტიკისა და მთელი ხელოვნება პოლიტიკისა“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 30, გვ. 174).

პარტიამ ზუსტად და ტევადად განსაზღვრა ახლანდელი პერიოდის არსი, როგორც ჩვენში აშენებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანების გადაწყვეტისაკენ დიდი და რთული შემობრუნების დასაწყისი. ეს ღრმა ფორმულა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული განვითარებული სოციალიზმის მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია გახდა საბჭოთა ხალხის უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობის პოლიტიკური, იდეურ-თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმის შემდეგ განვლილი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ახალი ნაბიჯი გადადგა თავისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების გზაზე.

ამ გიგანტური მუშაობის შინაარსი, პარტიის შემოქმედებითი აზრის ენერგია, თავის XXVII ყრილობას რომ ეგებება, მკაფიოდ აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წიგნში „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის გზით“, რომელიც გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. კრებული შეიცავს 1984 წლის თებერვლის შემდეგ მის გამოსვლებს, სტატიებსა და სხვა მასალებს.

ამ პერიოდს ახასიათებს პარტიის თეორიული მუშაობის მნიშვნელოვანი გააქტიურება, რომლის მიზანი ის არის, რომ მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრება მისცეს ჩვენი საზოგადოების მიერ მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის დონეს, ხოლო ამ საფუძველზე შემოქმედებითად განაახლოს თავისი სტრატეგია და ტაქტიკა, ამასთან გაითვალისწინოს როგორც უახლოესი მომავალი, ისე კომუნისტური პერსპექტივები.

მთავარი დასკვნა, აღნიშნავს ავტორი, „ის გახლავთ, რომ სანამ უშუალოდ კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტას შევუდგებოდეთ, უნდა გავიაროთ განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი“ (გვ. 375). ეს დასკვნა ასახავს ჩვენი საქმეებისადმი იმ შემოქმედებითს ფხიზელ მიდგომას, უტოპიისა არაფერი რომ არ სცხია და მტკიცედ დამკვიდრდა პარტიაში. მეთოდოლოგია, რომლითაც კომუნისტები არიან შეიარაღებულნი, ტყუილად როდი განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა როგორც „რევოლუციური დიალექტიკა მარქსისტული რეალიზმისა...“ (ტ. 9. გვ. 174). პარტია ორიენტაციას გვაძლევს რეალისტურად შევაფასოთ როგორც ჩვენი უდიდესი მიღწევები, ისე არსებული ნაკლოვანებებიც, არც გავაზვიადოთ და არც დავაკნინოთ ერთთა თუ მეორეთა მნიშვნელობა. ასეთი შეფასება შესაბამის პრაქტიკულ მოქმედებასაც გვავალებს. ასეთი მიდგომა განსაზღვრავს იმ მუშაობის არსსაც, რომელიც მიმდინარეობს პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაზე, XXVII ყრილობა რომ განიხილავს.

აანალიზებს რა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა თვისებრივი ცვლილებების არსს, ავტორი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ქვეყანამ მტკიცედ და გულდაჯერებით გადადგა პირველი და უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჩვენი საზოგადოების ყოველმხრივი და გეგმაზომიერი სრულყოფის გზაზე. დღეს ჩვენ მივაღწიეთ ისეთ მიჯნებს, როდესაც შეგვიძლია და უნდა ვიაროთ წინ და ორიენტირად გვქონდეს მეცნიერული თეორიით შემუშავებული უმაღლესი, ყველაზე მომთხოვნი წარმოდგენები სოციალიზმის შესახებ.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის იდეამ უნდა განსაზღვროს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული მთელი ჩვენი აზრები და მოქმედება. საქმე ეხება იმას, რომ წმინდა წყლის სამეურნეო გაანგარიშებათა სიფხიზლე ორგანულად შევუხამოთ ფართო პოლიტიკურ ხედვას, შეგვწევდეს უნარი განვაზოგადოთ და გამოვხატოთ მთავარი, რაც აყალიბებს საბჭოთა ეკონომიკის ახლანდელ სინამდვილესაც და მომავალსაც. წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ჩვენი ეკონომიკა მიუახლოვდა მიჯნას, როცა თვისებრივი ძვრები და ცვლილებები მასში უაღრესად საჭირო გახდა.

მთლიანად გამოვიყენოთ ორგანიზაციული ღონისძიებანი და მატერიალური საშუალებანი, რომლებიც საჭიროა მთელი სახალხო მეურნეობის უსწრაფესი ტექნიკური განახლებისათვის, ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიების სწრაფი საწარმოო ათვისებისათვის, — აი ის უპირველესი და თვალსაჩინო, რაც უნდა გაკეთდეს საწარმოო ძალების თვისებრივი გარდაქმნისათვის. თავის მხრივ ამ მუშაობის წარმატება მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს წარმოებით ურთიერთობაში. მათი სრულყოფა შეიცავს ბრიგადული იჯარის აქტიურ გავრცელებასაც, აგროსამრეწველო კომპლექსების ორგანიზაციასაც, სამეურნეო ანგარიშის უფრო ღრმად დანერგვასაც, და იმ დიდ, თუმცა ჯერ კიდევ საძიებო სიახლეებს, რომელთა მიზანია დაამკვიდრონ საწარმოო საქმიანობის ყველა უბანზე ორი განუყოფლად დაკავშირებული საწყისი — მეტი დამოუკიდებლობა და მეტი პასუხისმგებლობა.

მომწიფებული სამეურნეო გარდატეხის რეალობად გადაქცევა, წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობის ახალი ძალით წარმოჩენა შეუძლია მხოლოდ დიდ მწარმოებლურ ტექნიკას, გამრავლებულს მისი გამოყენებით საყოველთაო ეკონომიკურ დაინტერესებაზე. ამასთან ნათლად უნდა ვხედავდეთ, რომ ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური პროგრესი გადამწყვეტილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვიყენებთ არსებულ რეზერვებს, რამდენად ხელგვეწიფება ავამოქმედოთ თვით განვითარებული სოციალიზმის ბუნებაში მოქცეული უდიდესი აღმშენებლობითი ძალები. „ეს ძალები კი ისეთი გახლავთ, რომ დღეს შესაძლებლობას გვაძლევს, — უფრო ზუსტად კი გვავალებს, — დავისახოთ დიდი, პროგრამული მნიშვნელობის ამოცანა: უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის გასვლა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეზე“ (გვ. 385). ამ ამოცანას უნდა შევუსაბამოთ ჩვენი გეგმები, კონკრეტული სამეურნეო გადაწყვეტანი. ეს უნდა შეიგნოს თითოეულმა მშრომელმა.

ეკონომიკის სფეროში მთელი მეცადინეობის ქმედითობა შედეგია სრულიად სახალხო მხარდაჭერის და ენთუზიაზმისა, რომლითაც საბჭოთა ადამიანები აღიქვამენ პარტიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს. სწორედ ასეთი მხარდაჭერა პოვა მისი ინიციატივით გაშლილმა ბრძოლამ შრომის, საწარმოო, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველასა და თითოეულის პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის. ყოველივე ამან აქ სასიკეთო გავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, საწარმოო საქმეებზე. მაგალითად, ბოლო ორი წელი სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგის მუშაობაში დადებითი ძვრებით აღინიშნა. რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ცენტრში და ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოების უფრო მიზანმიმართულმა საგნობრივმა მუშაობამ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

ახლა, აღნიშნავს ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო, საჭიროა ეკონომიკაში დადებითი ძვრები საერთო მეცადინეობით არა მარტო განვამტკიცოთ, არამედ გავამრავლოთ კიდეც. ამისათვის კი საჭიროა, რომ იმათ, ვინც ჩამორჩება, გააუმჯობესონ მუშაობა, ისინი, ვინც ასრულებს გეგმებს, დაეწიონ მოწინავეებს, მოწინავეებმა — არ შეანელონ ტემპი.

დღეს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მატერიალური რესურსების ეკონომია. და აქ საჭიროა პრინციპულად ახალი მიდგომა. ეკონომია ხომ ნიადაგ მზარდი, თითქოს ამოუწურავი რესურსების დამატება კი არ არის, არამედ წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ეს სრულად ეხება შრომის რაციონალურ გამოყენებასაც. ასეთია დღის მოთხოვნა, წარმოების ინტენსიფიკაციის მოთხოვნა.

ჩვენი საწარმოო წარმატებების საფუძველია ადამიანებისათვის, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო პირობების შექმნისათვის, კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ზრუნვა. წიგნში ნაჩვენებია სასიკეთო ცვლილებები საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონეში, გაანალიზებულია ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულებას, სოფლის სოციალურ გარდაქმნას, მოსახლეობის სამრეწველო საქონლითა და მომსახურებით შემდგომ უზრუნველყოფას.

რა თქმა უნდა, აღნიშნავს ავტორი, „უკეთ ცხოვრების“ ცნება არ უნდა განვმარტოთ ცალმხრივად, მთლიანად არ უნდა ამოვწუროთ იგი მეტი ხელფასის მიღებით, მოხმარების უფრო მაღალი დონით. თქმა არ უნდა, საქმის მატერიალური მხარე ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, რაც ქმნის ადამიანის ცხოვრებას სოციალისტურ საზოგადოებაში. იგი მატერიალურ სიკეთეზე მეტად თუ არა ნაკლებად არ უფრთხილდება სულიერ, მორალურ, ფსიქოლოგიურ ღირებულებებს. რა თქმა უნდა, ძალაში რჩება ჩვენი ძირითადი წესი: უკეთ რომ ვიცხოვროთ, უკეთ უნდა ვიმუშაოთ. მაგრამ სწორია უკუფორმულაც: უკეთ რომ ვიმუშაოთ, უკეთ უნდა ვიცხოვროთ.

მიიჩნევს რა საბჭოთა საზოგადოების განვითარებას სოციალისტური იდეალის სრული განხორციელებისაკენ მოძრაობად, პარტია ცდილობს მიაღწიოს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა ყველგან და ყოველთვის მკაცრად შეესაბამებოდეს სოციალიზმისათვის დამახასიათებელ სოციალური სამართლიანობის პრინციპს. ეს კი მხოლოდ სოციალიზმის პირობებში შესაძლებელი თანასწორობის მაღალი დონე კი არ არის, არამედ თანამიმდევრული განხორციელებაც არის მისი ძირითადი პრინციპისა — „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“.

ჩვენი უმაღლესი მიზანი, როგორც დამაჯერებლად არის ნაჩვენები წიგნში, იყო და არის პიროვნების ყოველმხრივი განვითარება. სწორედ ამ სტრატეგიული ორიენტირით ხელმძღვანელობს პარტია, როცა დაუცხრომლად ზრუნავს მოზარდი თაობისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავს იმას, რომ საბჭოთა ადამიანების ყოველი ახალი თაობა განათლებისა და ზოგადი კულტურის, პროფესიული კვალიფიკაციისა და მოქალაქეობრივი აქტიურობის უფრო მაღალ დონეზე ადიოდეს.

საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის თვალსაზრისით წიგნში ანალიზდება პროცესები, რომლებსაც უკლასო სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ, ერების აყვავებისა და დაახლოებისაკენ მივყავართ. მშრომელთა მიერ მუშათა კლასის იდეოლოგიისა და მორალის მტკიცედ შეთვისების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ღრმა გაგების გარეშე

ურთიერთკავშირის არხი

(დასასრული)

...ბლობას ძირეულად გარდაიქმნას მთელი მუშაობა წარმოებაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თქვა ამხანაგმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ. გააანალიზა რა ჩამორჩენის მიზეზები, მან ამავე დროს აღნიშნა ის დადებითი ძვრები, რომლებიც შეინიშნება საწარმოს მუშაობაში. კერძოდ, ხუთწლედის დამდეგიდან აქ მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი ფონდები და შრომის ფონდაღჭურვილობა, რამაც შესაძლებელი გახადა გაეზარდათ მინერალური სასუქებისა და კაპროლაქტამის საწარმოო სიმძლავრენი, გაეუმჯობესებინათ ამ პროდუქციის ხარისხი. კოლექტივის მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრა, მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის, საკავშირო სამინისტროს განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების საგანია ხელშემწყობ პირობებს უქმნის საწარმოს მუშაობის სტაბილიზაციას: ბოლო ხანს მნიშვნელოვნად შემცირდა კადრების დენადობა, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. მაგრამ იმისათვის, რომ დავამკვიდროთ მთელი ეს ძვრები, ვამრავლოთ ისინი, საჭიროა ყველა რგოლის, ყველა იმათი განსაკუთრებული აქტიურობა, ვისთვისაც სულ ერთი არ არის რესპუბლიკის ქიმიური ინდუსტრიის ფლაგმანის ბედი.

ამ აქტიურობის ბარომეტრი გახდა წერილები, რომელთა მიღმა დგას მშრომელი ადამიანი და მისი საზრუნავი. ისინი მკვიდროდ ეხმარება არა მარტო გაერთიანების, არამედ ქალაქის, რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის საჭიროებებს, მოთხოვნილებებს, თვალნათლივ ცხადყოფს კოლექტივის ოპტიმიზმს, მის მისწრაფებას არ დასჯერდეს მიღწეულს.

მძიმე მდგომარეობის ანალიზმა, რომელშიც გაერთიანება აღმოჩნდა მეთერთმეტე ხუთწლედის ფონიშზე, ცხადყო, რომ საქმის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია საწარმოს ადმინისტრაციაზე, პარტიულ კომიტეტზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, იმაზე თუ რამდენად მარჯვედ გაუძღვებიან ისინი კოლექტივს, გააძლიერებენ იდეოლოგიურ და აღმზრდელობით მუშაობას, თითოეულის პასუხისმგებლობას მინდობილი უბნისათვის.

დიდი დახმარება შეუძლიათ და კიდეც უნდა გაუწიონ გაერთიანებას, მისი შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის სხვა მართვის ორგანოებმა. იმას, თუ კონკრეტულად რით უნდა გამოიხატოს ეს დახმარება შეეხებოდა სწორედ ის წერილი-წინადადებები, წერილი-შეკითხვები, წერილი-სურვილები, რომლებითაც გაერთიანების მუშაკებმა მიმართეს ამხანაგ ბ. ვ. ნიკოლსკის. კერძოდ, ამ წერილების ავტორები არიან მანგანუმის ელექტროლიზური ორჟანგის წარმოების მზა პროდუქტის საამქროს ზეინკალი ჰ. აშტიევი, სარემონტო-სამშენებლო საამქროს უფროსი გ. მერკვილაძე, კაპროლაქტამის წარმოების პარტბიუროს მდივანი ი. მაჭარაშვილი, ამიაკის სინთეზის საამქროს უფროსი მეაპარატე ა. ენუქიძე, დამხმარე მეურნეობის უფროსი ა. დარსალია, ხამი ლაქტამის საამქროს მეაპარატე ა. დავთიანი, მრავალტირაჟიანი გაზეთის „ქიმიკოსის“ რედაქტორი ზ. ბუაძე და სხვები.

გასცა რა თითოეულ წერილს საფუძვლიანი, ამომწურავი პასუხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა დამსწრეთ აცნობა, თუ რა პრაქტიკული ღონისძიებანი ხორციელდება ამა თუ იმ საკითხის გამო. კერძოდ, კონტროლი დაუწესდა რუსთავისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის დაჩქარებას, როგორიცაა მტკვარზე მშენებარე მეორე ხიდი, რომელიც მკვეთრად გააუმჯობესებს ტრანსპორტის მუშაობას და შეამცირებს მანძილს გაერთიანება „აზოტსა“ და ქალაქის ახალ მიკრორაიონებს შორის. კონკრეტული ვადები განისაზღვრა საწარმოს მუშაკებისა და მთლიანად რუსთავის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, საბინაო მშენებლობის ხარისხის საკითხების, იმ სხვა საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრისათვის, რომლებიც მშრომელთა სამართლიან საყვედურს იწვევენ. დამწრეთ კმაყოფილებით შეიტყვეს ის ამბავი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ახლა ამუშავებენ რუსთავის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უახლოესი წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის გეგმას.

წერილებში დასმულ კითხვებს პასუხი გასცეს აგრეთვე საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. კობახიძემ, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. ბაქრაძემ, ქალაქის აღმასკომის განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელებმა. ამ საკითხთაგან ბევრი ადგილზე გადაწყდა, ხოლო დანარჩენების გამო მშრომელებს შეჰპირდნენ, რომ ყოველმხრივ შეისწავლიან და ადრესატებს აცნობებენ განხორციელებულ ღონისძიებებს.

გაერთიანების მთელი კოლექტივის აზრები და გრძნობები გამოხატეს შეხვედრაზე კაპროლაქტამის წარმოების ხამი ლაქტამის საამქროს ოპერატორმა ვ. ცაბაძემ, მანგანუმის ელექტროლიზური ორჟანგის წარმოების მზა პროდუქციის საამქროს ოსტატმა ბრიგადირმა ა. ვასილიევამ, ამიაკის წარმოების № 1 ჰაერის დაყოფის საამქროს განყოფილების უფროსმა კ. ხომასურიძემ. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმის გამო, რომ იგი უდიდეს მხარდაჭერასა და ყურადღებას იჩენს გაერთიანების ჩამოყალიბებისა და განვითარებისადმი, დაუცხრომლად ზრუნავს მშრომელი ადამიანებისათვის, და აღუთქვეს, რომ რუსთაველი ქიმიკოსები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ მათ წინაშე დასახული დაძაბული ამოცანები, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას. (საქინფორმი).

მსმენელთა მორიგი მიღება რესპუბლიკურ და საოლქთაშორისო უმაღლეს პარტიულ სკოლებში

ცხადდება მსმენელთა მორიგი მიღება რესპუბლიკურ და საოლქთაშორისო უმაღლეს პარტიულ სკოლებში. მიღება იწარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების რეკომენდაციებით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მიიღებიან სულ ცოტა სამი წლის პარტიული სტაჟის მქონე სკკპ წევრები პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და იდეოლოგიურ მუშაკთაგან:

ორწლიან განყოფილებებსა და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — უმაღლესი განათლების მქონე, 40 წლამდე ასაკისა;

ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — საშუალო განათლების მქონე 35 წლამდე ასაკისა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებმა არა უგვიანეს 1985 წლის 1 მარტისა უმაღლეს პარტიულ სკოლებში სასწავლებლად რეკომენდებულ მუშაკებზე უნდა წარმოადგინონ ამონაწერი ბიუროს დადგენილებიდან, დახასიათება და შესაბამისი დოკუმენტაცია.

1985 წლის 10 აპრილიდან 1 მაისამდე პერიოდში ორწლიან განყოფილებებსა და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე რეკომენდებული პირები მიწვეული იქნებიან უმაღლეს პარტიულ სკოლებში გასაუბრებაზე, ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე რეკომენდებულები — მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, რუსული ენის (თხზულება) და სსრ კავშირის ისტორიის (საშუალო სკოლის მოცულობით) მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

მისაღები გამოცდების მომზადებისა და ჩაბარებისათვის სასწავლებლად რეკომენდებულ პირებს ეძლევათ ორი კვირის შვებულება სამუშაო ადგილას ხელფასის შენარჩუნებით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მეცადინეობა 1 სექტემბერს იწყება.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია

გაიმართა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ ამხ. ზ. ს. ზადიკაშვილი გაათავისუფლა ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ლენინის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. თ. ვ. თოფურიძე, რომელიც პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა.

(საქინფორმი).

საგუშაგოზე რაზმელი

წითელსამკლაურიანი ადამიანები ჩვეულებრივი მოვლენაა რესპუბლიკის ქალაქების ქუჩებში და მოედნებზე. ეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები არიან. სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ისინი მილიციის თანამშრომლებთან ერთად დგანან სა- [illegible]

აღინიშნა, რომ კარგად მოქმე- [illegible]

მოწინავეთა შორის დაასახელეს ხელვაჩაურისა და ახალქალაქის რაიონების ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებიც, რომლებიც დახმარებას უწევენ მესაზღვრეებს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში.

ამასთან ერთად რაზმეულები [illegible]

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

18 თებერვალი ▬ საქდესი იუწყება

მშვიდობის გზა ჩრდილოეთ ევროპაში

საბჭოთა კავშირმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყო თავისი თანამიმდევრული სამშვიდობო პოზიცია, მუდმივი მისწრაფება ყოველი ღონე იხმაროს ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის — ასე აფასებენ სხვადასხვა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს პასუხს ჩრდილოეთ ევროპის ომის მოწინააღმდეგეთა ორგანიზაციის „ხელშეკრულება — ახლა“ მიმართვაზე.

ჩვენ დაგვაკმაყოფილა საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხმა,— განაცხადა ოსლოში ნორვეგიის სახელმწიფო რადიომაუწყებლობის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მიმართვის ერთ-ერთმა ი ნ ი ც ი ა ტ ო რ მ ა, ჩრდილოეთ ევროპის ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის „ხელშეკრულება — ახლა“ აქტიურმა მოღვაწემ, პროფესორმა **ევა ნურლანდმა**. — კ. უ. ჩერნენკოს მიერ ჩვენი წერილის პასუხში ჩამოყალიბებული არგუმენტები აბსოლუტურად დამაჯერებელია.

„პოზიტიური და უაღრესად მნიშვნელოვანი“ უწოდა ნორვეგიის პარლამენტის — სტორტინგის დეპუტატმა სოციალისტური მემარცხენე პარტიისაგან **ს. ერნჰეიმ** საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც კ. უ. ჩერნენკოს პასუხშია ჩამოყალიბებული. „ახლა ნორვეგიის მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა საბჭოთა კავშირის მოწოდება უპასუხოდ არ დარჩეს“, — განაცხადა ნორვეგიელმა პარლამენტარმა ნორვეგიის სატელეგრაფო ბიუროს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. მან ნორვეგიის მთავრობას მოუწოდა გააგებინოს ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომ ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნა საარსებო მნიშვნელობის და აუცილებელი ნაბიჯია დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და პლანეტაზე მყარი მშვიდობის დამკვიდრების გზაზე.

დიდი ყურადღებით შეხვდნენ კ. უ. ჩერნენკოს პასუხს ნორვეგიის მთავრობის წრეებში. „საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ ორგანიზაციის „ხელშეკრულება — ახლა“ მიმართვაზე პასუხში ჩამოყალიბებული წინადადებები უთუოდ საინტერესოა“ — განუცხადა ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროს სტატს-მდივანმა **ო. ჰამერსტადმა** ნორვეგიის სატელეგრაფო ბიუროს კორესპონდენტს. მან თქვა, რომ ამჟამად ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც გულდასმით შეისწავლის საბჭოთა წინადადებებს.

„უაღრესად მნიშვნელოვანი და დროული დოკუმენტი“ უწოდა კ. უ. ჩერნენკოს პასუხს შვეციის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის მდივანმა **პ. ერიქსონმა**. შეეხო რა საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ პოლიტიკას, მან საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმათთვის, ვინც დღეს ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შესაქმნელად იღვწის. „სსრ კავშირი კვლავ დამაჯერებლად ცხადყოფს თავის მისწრაფებას ევროპის ჩრდილოეთში უშიშროების განმტკიცების პრობლემათა კონსტრუქციული გადაწყვეტისადმი“, — აღნიშნა მან.

ფინეთის გაზეთი **„კანსან უუტისეტი“** განსაკუთრებით გამოჰყოფს კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებს იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნა უთუოდ დასახავდა ევროპაში და მთელ მსოფლიოში ნდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების ახალ შესაძლებლობებს. ეხება რა ევროპის ჩრდილოეთის ქვეყნების ხალხთა უშიშროებისათვის ამ წინადადებათა უდიდეს მნიშვნელობას, ფინეთის მეორე გაზეთი **„სუომენ სოსიალი დემოკრაატი“** იმოწმებს კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებს, რომ სსრ კავშირი არასოდეს იხმარს ბირთვულ იარაღს იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ ბირთვული იარაღის წარმოებასა და შეძენაზე და რომლებსაც არა აქვთ იგი თავიანთ ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირი, ხაზს უსვამს გაზეთი, მზად არის იკისროს ვალდებულება არ იხმაროს ბირთვული იარაღი ჩრდილოეთ ევროპის იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც უბირთვო ზონის მონაწილენი გახდებიან, ანუ უარს იტყვიან ბირთვული იარაღის წარმოებაზე, შეძენასა და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში მის განლაგებაზე.

პოლონეთის გაზეთები კ. უ. ჩერნენკოს პასუხის გამოქვეყნებისას ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს „ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნას და შეიარაღების რადიკალურ შემცირებას“ და რომ იგი „მზად არის იყოს ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის გარანტი“. **„ტრიბუნა ლუდუ“** განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაინტერესებულ მხარეებთან განიხილოს ბალტიის ზღვის აკვატორიისათვის უბირთვო სტატუსის მინიჭების საკითხი.

ფოტოფაქტი

დააპატიმრეს ცნობილი მომღერალი

ამერიკის პოლიცია სასტიკად უსწორდება მათ, ვინც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დანაშაულებრივი აპარტეიდის რეჟიმთან იმ „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაცია ახორციელებს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „წესრიგის დამცველებმა“ ამერიკის დედაქალაქში დააპატიმრეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საელჩოს შენობასთან გამართული მასობრივი დემონსტრაციის 98 მონაწილე. მათ წაუყენეს „წესრიგის დარღვევის“ სტანდარტული ბრალდება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „ტრანსაფრიკის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოლო ორ თვეში, ამერიკის შეერთებული შტატების 17 ქალაქში ვაშინგტონსა და პრეტორიას შორის ეკონომიკური და სამხედრო კავშირურთიერთობის ზრდის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო მანიფესტაციების დროს პოლიციამ 1000-ზე მეტი კაცი დააპატიმრა.

სურათზე: დაპატიმრებულთა შორის არის ცნობილი მომღერალი ჰარი ბელაფონტე. აპ-საქდესის ფოტო.

ესპანეთი

მთავრობის მეთაურის განცხადება

მადრიდი. „სანამ მე ვიქნები ესპანეთის მთავრობის მეთაური, ესპანეთში არ განალაგებენ ბირთვულ იარაღს“, — განაცხადა აქ ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ ფ. გონსალესმა. გადაწყვეტილებებს, რომლებიც ესპანეთს ეხება, ხაზგასმით აღნიშნა მან, ესპანეთში და ესპანეთის პარლამენტში იღებენ.

ეს განცხადება გონსალესმა გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ გახმაურდა პენტაგონის საიდუმლო გეგმები განალაგოს ესპანეთში მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზებში ბირთვული იარაღი ეგრეთ წოდებული „კრიზისული სიტუაციის“ შექმნის შემთხვევაში.

ამ გეგმების თანახმად, „კრიზისულ სიტუაციაში“ ესპანეთში, კერძოდ, მადრიდის მახლობლად ტორეხონ-დე-არდოსში, მორონსა და როტაში განლაგებული ამერიკული სამხედრო ბაზები უნდა აღიჭურვოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან საჰაერო ხიდით ჩამოტანილი ბირთვული იარაღით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ დღეებში გამოქვეყნებულ ნოტაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამერიკის ხელისუფლებს არ უცნობებიათ ესპანეთის მთავრობისათვის ამგვარი გეგმები და არ მოთათბირებიან მას ამ საკითხზე. ესპანეთის მთავრობა, აღნიშნულია დოკუმენტში, მტკიცე პოზიციას ადგას იმ საკითხში, რომ ქვეყნის ტერიტორია უბირთვო უნდა იყოს.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. გერამ ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ თუ „ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბირთვული იარაღის განლაგების საიდუმლო გეგმების შესახებ დადასტურდა“, მთავრობა „მტკიცედ იმოქმედებს, როგორც ამას სიტუაცია მოითხოვს.

ფაქტის კომენტარი

თავს ახვევენ „კოსმოსური ომების“ იდეას

ანუ რისთვის იმოგზაურა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა დასავლეთ ევროპაში

ამერიკის თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა მორიგი ტურნე მოაწყო დასავლეთ ევროპაში. ინგლისში, ოფიციალური შეხვედრების გარდა, იგი გამოვიდა თავდაცვითი კვლევის სამეფო კოლეჯის დახურულ სხდომაზე. დასავლეთ გერმანიაში მოლაპარაკება გამართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან მ. ვერნერთან და ინსპექტორობდა ამერიკის სამხედრო ბაზას, სადაც განლაგებულია რაკეტები „პეტრიოტი“.

როგორც ლონდონში, ისე ბონში თავის პრესკონფერენციებზე პენტაგონის შეფი არ მალავდა, რომ მისი მოგზაურობის მთავარი მიზანია თავს მოახვიოს ნატოელ მოკავშირეებს „კოსმოსური ომების“ იდეა. არც ის არის საიდუმლოება, თუ ამ საქმეს რატომ მოჰკიდა ხელი თვით უაინბერგერმა. დასავლეთ ევროპაში, დაასკვნის ამერიკის კონგრესის კვლევის სამსახური, იზრდება ოპოზიცია რეიგანის გეგმებისადმი განალაგოს კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემა. იქ შიშობენ, ნათქვამია მის მოხსენებაში, რომ ამას მოჰყვება „გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი“, აგრეთვე „გაძლიერდება დაძაბულობა მსოფლიოში“.

სარგებლობს რა მილიტარისტული და რევანშისტული განწყობილებებით, რომლებიც რეინის ნაპირებზე სულ უფრო ძლიერდება, უაინბერგერი დაბეჯითებით არწმუნებდა ბონელ პოლიტიკოსებს არა უბრალოდ მხარი დაუჭირონ ვაშინგტონის „კოსმოსური ომების“ ავანტიურისტულ გეგმებს, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათს განხორციელებაში. „გვინდა ვიქონიოთ არა მარტო თქვენი დახმარების, არამედ თქვენი დიდი მეცნიერული მიღწევების იმედი“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კოლმა არ დააყოვნა და აღუთქვა ოკეანისგაღმელ ემისარს, რომ ბონი მხარს დაუჭერს ვაშინგტონის გეგმებს, მაგრამ ოპოზიციის მხრივ კრიტიკის გამო იგი იძულებული გახდა ეთქვა, ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ცოტა ხნით გადაიდებაო.

რაც შეეხება ნატოს სხვა წევრებს, ისინი ვერ დაიყოლია უაინბერგერმა. მაგალითად, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა შ. ერნიუმ განაცხადა, რომ ვაშინგტონის გეგმები გამალებული შეიარაღების ზრდის, შეტევითი სისტემების შემდგომი დაგროვების საფრთხეს ქმნის. საფრანგეთის აზრით, თქვა მინისტრმა, კოსმოსში ამერიკული სისტემების განლაგება ვერ განამტკიცებს სტაბილურობას. მან მოუწოდა მშვიდობიანად გამოიყენონ კოსმოსური სივრცე და ამასთან დაკავშირებით წამოაყენა წინადადება დააწესონ კოსმოსში რაკეტული და ლაზერული იარაღის განლაგების ხუთწლიანი მორატორიუმი. კოსმოსური შეიარაღების სამხედრო მიზანშეწონილობის გამო ეჭვი გამოთქვა აგრეთვე ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ვაშინგტონის ზემოქმედების მიუხედავად, ამერიკის მხედრიონის ავანტიურისტული გეგმებისადმი წინააღმდეგობა არა თუ ნელდება, პირიქით, ძლიერდება.

საფრანგეთი

ვაშინგტონის ზემოქმედების წინააღმდეგ

იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს საგანგებო სესია

პარიზი. აქ დამთავრდა იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს საგანგებო სესია. მისი მუშაობის დროს განიხილეს იუნესკოს შემადგენლობიდან ამერიკის შეერთებული შტატების გამოსვლის შედეგები, მიიღეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი მისი პროგრამების განსახორციელებლად სახსრების უკმარისობის დაძლევის თაობაზე, რომელიც შეიქმნა იმის გამო, რომ ვაშინგტონმა ორგანიზაციის რიგებიდან გამოსვლასთან დაკავშირებით გააუქმა ნაკისრი ფინანსური ვალდებულებანი. საერთაშორისო ფორუმის მონაწილეები შეეხნენ აგრეთვე მთელ რიგ საორგანიზაციო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია იუნესკოს აპარატის მუშაობის მომავალ გარდაქმნასთან.

იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ა. მ. მბოუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დროებითი ფინანსური სიძნელეების მიუხედავად ორგანიზაცია ყოველ ღონეს იხმარს, რათა შეასრულოს დასახული პროგრამები. სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა იუნესკოში ი. მ. ხილჩევსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის შექმნილ ვითარებაში განიხილოს იუნესკოს ბიუჯეტში ნებაყოფლობითი დამატებითი შესატანის გამოყოფის საკითხი.

მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათზე პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენდა ვაშინგტონი, გამოთქვეს სინანული ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. საფრანგეთმა, მექსიკამ, აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა სახელმწიფოებმა, განაცხადეს, რომ აპირებენ შეიტანონ დამატებითი ნებაყოფლობითი შესატანი ორგანიზაციის ბიუჯეტში.

სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში მკაცრად გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია და წინადადება შეიტანეს შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით განიხილონ იუნესკოში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლობის გადანაწილების შესაძლებლობა ორგანიზაციის საქმიანობაში მათი წვლილისა და გეოგრაფიული კვოტების გათვალისწინებით.

ნური ნორმები და პრინციპები, და უწინარეს ყოვლისა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი. [illegible]

ციალიზმი პირნათლად ასრულებს. ამაოა იმპერიალისტურ პოლიტიკოსთა ცდები შეზღუდონ სოციალიზმის ქვეყნების საერთაშორისო [illegible]

დაწყების შესახებ. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, გამოიჩენს თუ არა ვაშინგტონი პატიოსან და კონსტრუქ- [illegible]

ПРАВДА

18. II. 1985 წ.

მოკლედ

უკანასკნელ საათს

დაინიშნა სპეციალური გამოძიება

◆ **ტოკიო.** ოპოზიციის ზემოქმედებით იაპონიის მთავრობამ დანიშნა ამერიკის შეერთებულ შტატებში იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი კორპორაციის „კიოსერის“ საქმიანობის სპეციალური გამოძიება. როგორც იაპონიის სოციალისტური პარტიისაგან დეპუტატთა ჯგუფმა დაადგინა, ეს კომპანია მონაწილეობს ამერიკის ტერიტორიაზე „ტომაგავკ“ ფრთოსანი რაკეტების წარმოებასა და შეერთებული შტატების სხვა ფართო სამხედრო, მათ შორის კოსმოსურ პროგრამებში.

მოსპეს 200 კონტრრევოლუციონერი

◆ **ლუანდა.** ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები წარმატებულ ოპერაციებს ახორციელებენ უნიტას მარიონეტული დაჯგუფებების ბანდების წინააღმდეგ. მარტო იანვრის თვეში ბენგალის პროვინციაში შეიარაღებული ძალების ნაწილებმა და ქვეგანაყოფებმა მოსპეს 200-ზე მეტი კონტრრევოლუციონერი. ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი, აღჭურვილობა და სამხედრო ტექნიკა. გაანთავისუფლეს 800-ზე მეტი ანგოლელი მოქალაქე, რომლებიც წინათ ბანდიტებმა თავიანთ ბანაკებში გარეკეს.

ნიკარაგუა კატეგორიულად უარყოფს

◆ **მანაგუა.** რეიგანის ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეაჩეროს რევოლუციური პროცესი ნიკარაგუაში, და იმედოვნებს, რომ შეიარაღებული აგრესიით გაანადგურებს მას, განაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ. დედაქალაქში მშრომელთა მასებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე გამოსვლისას მან კატეგორიულად უარყო ვაშინგტონის ცდა პარალელი გაავლოს ნიკარაგუასა და სალვადორში შექმნილ მდგომარეობას შორის, და თავს მოახვიოს რესპუბლიკის მთავრობას კონტრრევოლუციური ნაძირალების მეთაურებთან „მოლაპარაკება“.

გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობა

◆ **ნიუ-იორკი.** რეიგანის ადმინისტრაცია საიდუმლოდ ემზადება, რათა დასავლეთ ევროპაში განლაგებული 155-მილიმეტრიანი ჰაუბიცები აღჭურვოს მაღალი რადიაციის ბირთვული ჭურვებით. როგორც გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყება, კონგრესმა უკვე დაამტკიცა ახალი ტიპის 925 ბირთვული მუხტის წარმოებისათვის მილიარდზე მეტი დოლარის გამოყოფა.

რას გვეტყვის წარსული?..

რეპორტაჟი ქუთაისის არქეოლოგიური გათხრებიდან

ქუთაისურთა ყურადღების ცენტრშია დიდი არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც ქალაქის ისტორიული წარსულის შესწავლისა და გამომზეურების მიზნით მიმდინარეობს. გათხრები კარგა ხანია დაიწყო ქალაქის სამ უბანში (უქიმერიონის ციხე, გაბაშვილის გორა, რიონჰესის დასახლება) და გელათში („დავითის კონცხი"). იგი სულ უფრო და უფრო ფართოვდება მთელი ქალაქის მშრომელთა აქტიური მონაწილეობითა და მათი დიდი ენთუზიაზმით.

ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკი ლევან ჯიქია მოგვითხრობს:

— აგერ, ხქვს თვეზე მეტია, რაც უქიმერიონის ციხე-ქალაქის შიგა და მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა მიმდინარეობს, და თავდაპირველი ენთუზიაზმი წუთითაც არ განელებულა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთობლივი დადგენილებით წინასწარვე განისაზღვრა საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ყოველდღიური შაბათობის გეგმა-გრაფიკი სამუშაოებში მონაწილეობისათვის. უკვე შესრულებულია დიდი მოცულობის სამუშაო: გაიჩეხა გაუვალი ბარდნარი, გაიჭრა მიწა, გაიწმინდა ტაძრის ეზო, დაინგრა ყორეები და სათავსები, აიღეს ციხის ზღუდეებზე მიშენებული რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, ნაწილობრივ მოინგრა ყოფილი საბუღალტრო სკოლის შენობა. გალავნებისა და ზღუდეკედლების აღსადგენად ცალკე გროვდება საშენი მასალები; გაწმენდის შედეგად უფრო და უფრო გამოკვეთილი ხდება ციხე-ქალაქის ადრინდელი არქიტექტურული ფორმები, ძველ ნაგებობათა ნაშთები; პარალელურად მიმდინარეობს კედლების აღდგენითი სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური და კეთილმოწყობის განყოფილებებს დაქვემდებარებულმა სამსახურებმა, თბოფიკაციის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროს, „ქელასის", სასტუმროთა გაერთიანების, საგზაო, მწვანე მშენებლობის, აგრეთვე მაუდისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკების, საცდელ-მექანიკური და საგრენაჟო ქარხნების, ხორცისა და პურკომბინატების, პურის მიმღები საწარმოს, რიონჰესის კასკადის, საქმთავარგზის № 5 სამმართველოს, კიროვის სახელობისა და „გელათის" სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების კოლექტივებმა.

არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ომარ ლანჩავა გვაცნობს უკვე მოპოვებულ ისტორიულ მასალას.

— „ქუთაისის ქვეყნის" არქეოლოგიური შესწავლა, — გვეუბნება იგი, უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა ქუთაისის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც გასული წლის 1 ივლისიდან შეუდგა მუშაობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე უძველესი ფენები გამოვლინდა გაბაშვილის გორაზე, ანუ ქალაქის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (ხელმძღვანელი — გ. კვირკველია); აქ გრძელდება წინარე ანტიკური და ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენათა შესწავლა, რასაც ძალზე საყურადღებო შედეგი მოჰყვა: გაითხარა ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეების კოლხური, ბათქაშისკედლებიან ნაგებობათა ნაშთები, სადაც ნაპოვნია მრავალრიცხოვანი საყოფაცხოვრებო კერამიკა, რაც ნათლად წარმოაჩენს საერთო კოლხურ სინამდვილეს და, შესაძლოა, საქალაქო ცხოვრების ერთ-ერთი ადრეული ეტაპის მანიშნებლადაც წარმოგვიდგეს ქუთაისში.

არქეოლოგიურად საინტერესო გამოდგა რიონჰესის მიდამოები, სადაც საცდელი თხრილები გაკეთდა ეგრეთ წოდებულ „სარბევის ბორცვსა" და „ციხიას გორაზე" (ხელმძღვანელი — ვ. ლიჩელი). ამ მიდამოებში დადასტურდა ძველი წელთაღრიცხვის V-IV და III-I საუკუნეების ვრცელი ნამოსახლარების არსებობა. მკვლევართა ვარაუდით, აღნიშნული სამოსახლოები განლაგებული უნდა ყოფილიყო დიდი საქალაქო ცენტრის ირგვლივ, რომლის მიკვლევა ექსპედიციის უმთავრესი ამოცანაა.

დადგინდა გელათში „დავითის კონცხზე" არსებული ორმაგკედლიანი წრიული ნაგებობის პირველადი ფუნქცია: იგი წყალწითელას ხეობაში გელათისაკენ მიმავალი მთავარი გზების ჩამკეტი სტრატეგიული პუნქტი იყო, თუმცა ძეგლის გათხრის ხელმძღვანელი ვ. ჯაფარიძე არ გამორიცხავს აქ ობსერვატორიის არსებობასაც.

განსაკუთრებით რთული უბანი გამოდგა უქიმერიონის ციხის ტერიტორია. მხედველობაში გვაქვს სამუშაოს მასშტაბები და მისი შრომატევადობა: პირველ ყოვლისა, საჭირო შეიქნა ძეგლის მომზადება არქეოლოგიური შესწავლისათვის (ნაქალაქარის განთავისუფლება გვიანდელი ნაგებობებისაგან, მცენარეული საფარისაგან და დიდძალი ქვა-ღორღისაგან), პარალელურად წარიმართა მისი სარესტავრაციო-აღდგენითი და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელსაც ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო ახორციელებს პროფესორ ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით.

უკვე სადღეისოდ, ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლაში მნიშვნელოვანი შედეგები გვაქვს: მთლიანად გაითხარა უქიმერიონის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კარიბჭით („ცოტა კარი") და გალავნის განმკლავი კედლებით, რომელსაც შიდა მხრიდან საგანგებოდ ხშირი კონტრფორსები ამაგრებს. აღნიშნული კომპლექსი ადრექრისტიანული ხანის V საუკუნის ქართული საფორტიფიკაციო არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი შენაძენია.

ნივთიერად დადგინდა ადრე საშუალო საუკუნეებში (IV-VI ს). ციხე-ქალაქის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი: ფიქსირებულია წყარო, გვირაბი — თიხის მილებით და აკვედუკებით. ეს არის ურთულესი მექანიზმი, ეგრეთ წოდებული „არტერიული სისტემა", რომლითაც წყალი 100-120 მეტრ სიმაღლეზე იტუმბებოდა ქვემოდან ზევით. წყლით მომარაგების ანალოგიური სურათი დადასტურებულია ველათში დოხორას ქედის ეკლესიასთან. იგი დამოწმებულია გელათისა და ქუთაისის იეკლიევ-ტოლოჩანოვისა და დიუბუასეულ აღწერილობებშიც.

ნაწილობრივ გაითხარა VI საუკუნის აბანო საცეცხლე განყოფილებითა და აბაზანებითურთ. სამწუხაროდ, აბანოს ნაშთების სრულად გამოვლენას ხელს უშლის გვიანდელი (XVIII ს.) ციტადელის წრიული კოშკი, რომელიც ზედ აბანოზეა აღმართული.

ტაძრის აღმოსავლეთით გაიწმინდა იმერეთის მეფეთა ციტადელის ნანგრევები უზარმაზარი აყირავებული კედლებით (XVI-XVIII სს.), რომლის შიგნით შესანიშნავი წყობის სწორკუთხა კვადრებიანი ნაგებობების ფასადი გამოვლინდა. დიუბუას გეგმაზე იგი ლაზების მეფის სასახლედ არის მიჩნეული. გაითხარა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი მხარის მთავარი ბურჯი, გალავნის კედლებითა და კოშკებით, რომლის აგება ან განახლება, ჩვენი ვარაუდით, VII-VIII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო.

ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლინდა ადრე საშუალო საუკუნეების ქვაფენილით მოკირწყლული ქუჩა, ხოლო ქუჩის გაუქმების შემდეგ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, აქ თიხის მილების წყალსადენი გაუყვანიათ.

გაიწმინდა X საუკუნის ციხის ეკლესიის სამხრეთის სადარბაზო და XI-XII საუკუნეების მარანი სამოცამდე დიდი დაკირული ქვევრით. გათხრების შედეგად დაგროვდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა: მრავალრიცხოვანი თიხის, მინისა და ლითონის ნაწარმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეთუნეო ნაწარმი, რომელიც გამოირჩევა ფორმითა და დანიშნულებით. მრავლად აღმოჩნდა სამშენებლო კერამიკა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის აგურებით (IV საუკუნიდან XIV საუკუნის ჩათვლით), სოლენისა და კალიპტერის ტიპის კრამიტებით, რომელთაგან ზოგიერთი მოჭიქულია, წყალსადენის თიხის მილებით, რომლითაც მთელი ქალაქი ყოფილა დაქსელილი და წყალმომარაგების მაღალი ორგანიზაციის უტყუარი მოწმობაა სხვადასხვა პერიოდში. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ქვევრებითა და დერგებით.

საყოფაცხოვრებო თიხის ნაწარმიდან აღსანიშნავია ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის დოქები, რომელთა გაპრიალებული ზედაპირი გამოყვანილია წნეხვით. ზოგიერთს თეთრი საღებავი ამკობს, ჯამები, რომელთა უმრავლესობას ასევე წნეხით გაპრიალებული ზედაპირი აქვს, მოხატულია თეთრი ან ვარდისფერი საღებავით (VII-IX სს.).

ადრე საშუალო საუკუნეების ადრეულ ეტაპზე მრავლად ყოფილა ხმარებაში წითელლაქიანი კერამიკა და მისი მინაბაძები (დიდი რაოდენობით არის ქოთნები, ხელადები, სასმისები და სხვ.). მოიპოვება ადრე საშუალო საუკუნეების (VIII-IX ს. ს.). ჩინური ფაიფურის ნაწარმიც, რაც საერთაშორისო ვაჭრობაში ქუთაისის მონაწილეობის მაუწყებელი და აღებ-მიცემობის გეოგრაფიული არეალის, უკიდურეს აღმოსავლეთიდან ახლო კონტაქტების უთუო დასტურია.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქვის კერამიკული ჩარხის აღმოჩენა (სამეურნეო მორგვი), რაც საქართველოში ჯერჯერობით პირველ შემთხვევად ითვლება.

მაღალმხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს აგრეთვე ნაგებობების მოზაიკით შემკობა, რომლის ნაშთები („სოფიის კენჭები") VII-VIII საუკუნეების ფენაში აღმოჩნდა თიხის ქურჭელში ჩაფლული. ამავე ფენაში აღმოჩნდა 10 კილოგრამამდე ტყვიის ზოდი, რკინის შანდალი და საკმაო რაოდენობის მინის ნაწარმი.

...გავლილია ქუთაისის საველე არქეოლოგიური სამუშაოების პირველი სეზონი. არქეოლოგები ბევრი საიდუმლოს გახსნას გვპირდებიან. ბუნებრივია, მისი გამომზეურება კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურს.

დ. ბედინეიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მხატვრები—იუბილეს

თავის ნაწარმოებებში მხატვარი დინარა ნოდია უმღერის მშრომელ ადამიანს, მშობლიური მხარის სილამაზეს. მან დიადი გამარჯვების 40 წლისთავს მიუძღვნა ტილოების სერია, რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის გმირობას დიდ სამამულო ომში. ეს ტილოები წარმოდგენილია ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენაზე.

სურათზე: საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი დინარა ნოდია.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თეატრალური პრემიერები

შემთხვევითმა შეხვედრამ მატარებლის ვაგონში მკვეთრად შეცვალა ორი ადამიანის ცხოვრება. თუ როგორ მოხდა ეს, ამაზე გვიამბობს მერაბ ბერაძის პიესის მიხედვით დადგმული ახალი სპექტაკლი „ორი ბილეთი დაგვიანებული მგზავრებისათვის", რომელიც თარგმნა გ. ხაჩატურიანმა. სპექტაკლი დაიდგა თბილისის ს. შაუმიანის სახელობის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული სომხური თეატრის სცენაზე.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან — ბიძინა — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი რობერტ ოვანესიანი, მაგდა — მსახიობი ელეონორა ოგანიანი.

გ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჯანმრთელობის დაცვა დიდი პარტიული საქმეა

პროქტოლოგია—ქირურგიის განვითარებადი დარგი

თხუთმეტი წელია თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში არსებობს პროქტოლოგიის განყოფილება და პროქტოლოგიის კათედრა. ამ დარგის პრაქტიკული, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის განვითარებაზე, ექიმ-პროქტოლოგთა მომზადებაზე ჟურნალისტი ქ. კვეძე ესაუბრა ინსტიტუტის პროქტოლოგიის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ ივაშვილს.

— ბოლო წლებში ქირურგიულ პრაქტიკაში აღინიშნება დარგობრივი დიფერენციაცია. რა აუცილებლობით იყო გამოწვეული საქართველოში პროქტოლოგიური სამსახურის შექმნა და რა მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ამ მხრივ მედიცინის ამ დარგის პრაქტიკულ თუ სამეცნიერო მუშაობაში?

— თანამედროვე მედიცინის სრულყოფა წარმოუდგენელია მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარების განვითარების გარეშე. დიაგნოსტიკის ხარისხის ამაღლებამ და საოპერაციო ტექნიკის გაუმჯობესებამ მოითხოვა ქირურგიულ პრაქტიკაში დარგობრივი დიფერენციაცია, კერძოდ, ისეთი დისციპლინის გამოყოფა, როგორიც არის გასტროენტეროლოგია და პროქტოლოგია, რომელთა მოქმედების სფერო მოიცავს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს. საქართველოში პროქტოლოგიურ დაავადებათა საკმაოდ დიდი რიცხვი გვხვდება თავისი მრავალფეროვნებით და გავრცელებით (დამნაშავეა კვების სპეციფიკა — მშრალი, ცხიმიანი, ცხარე და მარილიანი საკვების ზედმეტად გამოყენება). უწინ ავადმყოფთა უმრავლესობა რესპუბლიკის გარეთ გადიოდა და ძირითადად მიმართავდა მოსკოვისა და კუიბიშევის პროქტოლოგიურ ცენტრს. როგორც წესი, ეს დაავადება ინტიმური პათოლოგიაა და ავადმყოფები ნაკლებად მიმართავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ქირურგიულ კლინიკებში მკურნალობას. 1969 წელს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროქტოლოგიის კურსის პედაგოგიურ, პრაქტიკულ და სამეცნიერო ბაზად გამოიყო იმ დროისათვის ერთადერთი ქ. თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს პროქტოლოგიის განყოფილება. დაიწყო ექიმ-პროქტოლოგთა მომზადება. პროქტოლოგიის კურსი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ერთეულად, ხოლო შემდგომ გადაკეთდა კათედრად.

— გაგვაცანით კათედრის სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა, კათედრა მარტოოდენ ქართველ ექიმთა აღზრდას ემსახურება თუ ფართოა მისი მასშტაბები?

— კათედრაზე მოსამზადებელ კურსს გადიან არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ექიმები. პროქტოლოგიაში ხელოვნდებიან სარატოვის, ნოვოროსიისკის, არხანგელსკის, კურსკის, ქერჩის, არმავირის, ორსკის, დუშანბეს, ჩიტის, ალმაათის, კამჩატკის პეტროპავლოვსკისა და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ექიმები. 15 წლის მანძილზე, თემატური დახელოვნების კურსები გაიარა 450 ექიმმა. პროფესიული ცოდნის ღრმად დაუფლებასთან ერთად, ვცდილობთ მსმენელებს ჩავუნერგოთ მკურნალი ექიმისათვის საჭირო თვისებები, ყურადღება ავადმყოფისადმი, სითბო, სიტყვის კულტურა. აკი ძველებს უთქვამთ: ექიმის ტკბილი სიტყვა მკურნალიაო. ექიმი ავტორიტეტს იქმნის და მისი მაშინ სწამთ, როცა იგი გულისხმიერი, თანამგრძნობი და ჰუმანურია, აქვს ავადმყოფთან ინდივიდუალური მიდგომის უნარი, მხოლოდ მაშინ შეიძლება მკურნალმა მიიღოს მართებული გადაწყვეტილება. ექიმს უნდა ახსოვდეს, რომ უკავშირდება სხვა ადამიანის ცხოვრებას, უნდა შეიცნოს სნეულის ხასიათი, გაითვალისწინოს მისი ქცევა, გაითავისოს სხვისი ტკივილი. უსწოროდ წარმართული დამოკიდებულება შესაძლოა ტრავმის მიზეზი გახდეს. მოფიქრებული და გონივრული საუბარი ცოდნის გამოყენებისა და სწორი მკურნალობის საწინდარია. უცოდინარი ექიმი უნდობლობის ატმოსფეროს ქმნის, იწვევს საშიშ ეჭვს. რთულია ახალბედა ქირურგებთან მუშაობა, მაგრამ საინტერესოა და კეთილშობილური.

კათედრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებაა: შორისის, ანალური არხის, სწორი და მსხვილი ნაწლავის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობა. დამუშავებული და ქირურგიულ პრაქტიკაში დანერგილია მსხვილი და სწორი ნაწლავის, პოლიპოზის ქირურგიული მკურნალობის აქტუალური საკითხები, სწორი ნაწლავის ჩამკეტი აპარატის დაზიანების პლასტიკური აღდგენა. წლების მანძილზე კათედრა ამუშავებს რთული პარარექტალური ფისტულების, ანალური წყლულების თანხლები პროქტო-გინეკოლოგიურ და ონკო-პროქტოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის საკითხებს.

პროქტოლოგიის განყოფილება 15 წლის მანძილზე მოემსახურა 20 000-ზე მეტ ავადმყოფს, გაკეთდა 12000 ოპერაცია, კონსულტაცია გაეწია ათასობით ავადმყოფს. პროქტოლოგიის განყოფილებები შეიქმნა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გურჯაანში და სხვა რაიონებში. მინდა გაგაცნოთ კათედრის თანამშრომლები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ადამიანის ჯანმრთელობას: დოცენტი თ. აბულაძე, ასისტენტები — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები გ. კორკელია და პ. შოთაძე, უფროსი ლაბორანტი რ. თაყაიშვილი, განყოფილების გამგე უ. ანახასანი, ორდინატორები ა. ფანჯიკიძე და ვ. გურგენიძე.

— თქვენვე მოგიხდათ საქართველოში პროქტოლოგიის განყოფილების ჩამოყალიბება, ინსტიტუტში პროქტოლოგიის კურსის გაძღოლა. როგორც პროქტოლოგიის კათედრის გამგე, რას იტყვით ხელშემშლელ პირობებზე?

— გაწეული მუშაობის მიუხედავად, კათედრას ჯერ კიდევ არა აქვს შესაფერისი საბაზო შენობა და საწოლთა საკმარისი რაოდენობა. ვიმყოფებით მე-8 საავადმყოფოს ბაზაზე. სადღეისოდ აუცილებელია ქალაქის პროქტოლოგიის განყოფილება, რომელსაც ექნება კომპლექსები: პოლიკლინიკური, პროფილაქტიკური სამსახურის, კონსერვატული პროქტოლოგიის, ენდოსკოპიის, ანთებითი და ზოგადი პროქტოლოგიის განყოფილებები, ყურადღებას ითხოვს ბავშვთა პროქტოლოგიაც. პრესა, რადიო და ტელევიზია უფრო მეტად უნდა აშუქებდნენ პროქტოლოგიური სამსახურის მიღწევებს და პროქტოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის საკითხზე ხშირად უნდა ვესაუბრებოდეთ მოსახლეობას.

ყაყანებს, ბორგავს მთელი ბაზარი...

ფელეტონის მაგიერ

... **ბაზრობა** იმართება თოვლში, თავსხმაში, გაგანია სიცხეში, როცა მზე ხრუკავს მიდამოს და დედამიწას ალმური ასდის, ყოველგვარ ამინდში, მხოლოდ შაბათ-კვირას, ისიც ქალაქგარეთ ტრიალ მინდორზე, სადაც ერთი ძირი ხეც არ დგას, კაცმა თავი რომ შეაფაროს და სული მოითქვას.

მილეთის ხალხს მოუყრია თავი. ერთმანეთში ირევა ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, არის ერთი ზრიალი და ყაყანი, ქართული, რუსული, სომხური, თათრული, ჩიქორთული და ქართული ერთმანეთშია არეული...

აქ ის სახელდახელო ბაზრობაა აღწერილი, ცენტრალური საავტომობილო გზის რუსთავის გადასახვევს იქით, იაღლუჯის მთის ძირას რომ იმართება ხოლმე. ამ ბაზრობაზე, ჩვეულებრივ, ვერ შეხვდებით ლოყაწითელა თურაშაულს, მწვანილსა და ნამნაპკურებ კიტრს, ვერც ქლიავისა და ვაშლის ჩირს, გოგრას, ბროწეულს... აქ ძირითადად ავტომობილებითა და მისი სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობენ.

როგორც ცნობილია, ტერიტორიული საზღვრებისა და მასშტაბების მიხედვით ბაზარი შეიძლება იყოს ადგილობრივი, ერთიანი, ესე იგი საშინაო და მსოფლიო ანუ საგარეო. სულ ახლახან, ჩვენ თვალწინ „მოხეტიალე ბაზრები" შეიქმნა, რომლებსაც შეიძლება „საზონათშორისო" ეწოდო, რადგან იაღლუჯის მთის კალთებზე შეფენილ ბაზარზე შეხვდებით ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსულს, ავტომობილების გახურებული ყიდვა-გაყიდვა რომ გაუჩაღებიათ... ეგრეთწოდებული საზონათშორისო მოხეტიალე ბაზრები მანამდეც არსებობდა ავჭალაში, ვაშლიჯვარში, მარნეულის შესასვლელთან...

ზოგიერთი პატიოსანი კაცის წყალობით ეს თვითნება ბაზრები აღიკვეთა. მოარულმა ბაზრებმა არაერთხელ მოიცვალა ადგილი, უკანასკნელ ხანს რუსთავის გადასახვევთან წითელი ხიდისაკენ გზის მარცხენა მხარეს ერთმანეთში ირეოდა მილეთის ხალხი, ავტომობილების მუშტარი და გამყიდველი. გადახნეს იმპროვიზებული ბაზარი. სად წასულიყვნენ? და გამოსავალი მოძებნეს — გზის მარჯვენა მხარეს გადმოინაცვლეს. იქაც მიადგნენ ტრაქტორებით და ის ტერიტორიაც გადახნეს. კერკეტი კაცები გამოდგნენ იმპროვიზებული ბაზრის სულისჩამდგმელნი. ახლა ცოტა იქით, წითელი ხიდისაკენ, იაღლუჯის კალთებს შეაფარეს თავი, და არის ყიდვა-გაყიდვა...

არ ჰყავს პატრონი და გამკითხავი ამ ბაზარს. ზოგიერთს შემოსავლის წყაროდ და პროფესიად გაუხდია მაკლერობა. არის მორიგებ-გარიგება. თვითონ არ დგანან პატრონები თავის ავტომობილებთან, დალალია გამგებელი და ეძებს კლიენტს.

— ჩემისთანა ავტომობილი არავის არა ჰყავს, ხომ ხედავ, ცინცხალია, სულ ორი კვირაა, რაც გამოვიყვანე მაღაზიიდან, ნოლ ექვსია, თავისი ძრავით.

— რას აფასებთ ბატონო?

— თექვსმეტს კაპიკი არ დააკლდება.

— ღმერთი არ გწამს? შვიდი ათასი ზედმეტი, რა ამბავია?

— ასე იყიდება ყველგან, გაზაფხულზე უფრო მოიმატებს.

მართალია, კანონი არ კრძალავს მსუბუქი ავტომანქანის საკომისიო გაყიდვას, მაგრამ გუშინ მაღაზიაში შეძენილ ავტომობილს ხვალ რომ შავ ბაზარზე გაიტანა გასაყიდად, აქ საქმეო არაფერია — ანგარიშსთან გვაქვს საქმე, და ამას სპეკულაციის სუნიც უდის. რატომ აძლევენ ამის საშუალებას თავიანთ თანამშრომლებს ის დაწესებულებები და საწარმოები, რომლებიც მსუბუქ ავტომობილებს უნაწილებენ მშრომელებს?..

კვლავ გადავხედოთ ბაზარს. ავტომანქანების დეფიციტური ნაწილები გნებავთ? ინებეთ, რამდენიც გინდათ! ქორვაჭრებს ჯიბეშიც აქვთ სათადარიგო ავტონაწილები, ზოგიერთს ავტომანქანებისათვის საბარგულების სახურავი აუხდია, მასში ჩაულაგებია და ისე ვაჭრობს, რამდენიმეს კი პირდაპირ მიწაზე დაუწყვია... გააჩნია, რომელი გინდა, ხუთმაგად და ათმაგადაც კი იყიდება, ამჟამად დეფიციტური გახდა აკუმულატორი, რადგან ერთ-ერთ დიდ ქარხანაში, რომელიც მას ამზადებს, რემონტია, ორმოცდათხუთმეტ მანეთიან აკუმულატორს 150-160 მანეთს აფასებენ. ერთმა ახალგაზრდამ დიდი მუდარისა და ხვეწნის შემდეგ, როგორც იქნა, 130 მანეთად შეიძინა ქორვაჭრისაგან აკუმულატორი და სიხარულისაგან ცას ეწია.

თაღლითი რის თაღლითია, თუ ხალხის თავშეყრის ადგილას ტუჩრასავით არ შეიპარა და თავისი საქმიანობა არ გააჩაღა. აგერ ისეთი ორომტრიალი გამართულა, ამ წრეში კაცი ცხვირს ვერ შეყოფს, მაგრამ, იცოცხლე, თუ უცხო და მიამიტი შენიშნეს, მისთვის გზა გამოჩნდება. მუქთად ფულის შოვნის მსურველი თვალხარბად მიშტერებია მიწაზე ფეხმორთხმულ თვალთმაქცს, რომელიც არცთუ ისე რთული მაქინაციებით თავისი ამფსონების ხელშეწყობით ფულს იგებს მოფუსფუსე ხალხისაგან. აქ „ჯადოსნურ სამ სათითეს" ატრიალებენ.

— ჰოპ, ცარიელია, ჰოპ, ცარიელია, ჰოპ, ცარიელია!

დაცარიელდება მიამიტის ჯიბეც.

დაუჯერებელია, მაგრამ ავი ენები იმასაც ამბობენ, ერთხელ შემთხვევით მოხვედრილმა წესრიგის დამცველმა დიდხანს უყურა ამ „საინტერესო ასპარეზობას" თაღლითებსა და არიფს შორის, ისიც მომხდარა თურმე, გულუბრყვილო კლიენტს ავტომობილის საყიდელი ფული ამ სათითეში დაუტოვებია.

ამდენ მიმსვლელ-მომსვლელს პურმარილიც ხომ სჭირდება, და გამოჩნდნენ გულშემატკივრები, მოიტანეს მაყალი, მაგიდები, ლიმონათი, პეფსიკოლა, ხორცი და პური. შამფურზე ააგეს მწვადები და ფეხზე სახელდახელო პურის ჭამაა გამართული. თადარიგიანებს არაყიც წამოუღლვანიებიათ და სამაღარიჩოს იქვე სვამენ.

ვინ არიან ესენი, რომელი საზოგადოებრივი კვების ობიექტიდან?

ჰუპჰყიანხალათაფარებული, წვერგაუპარსავი კაცი გიპასუხებს:

— ჰაჯან, შენ ვაშლი მიირთვი, მებაღეს რას კითხულობ...

ვიღაც შეზარხოშებულმა შეიგინა და ვილაცაზე გაიწია. ატყდა ყვირილი, „გამიშვი და გაგიშვებ"... ლადო ასათიანის ლექსი გვახსენდება უნებურად: „ასე ყაყანებს, ასე ბორგავს მთელი ბაზარი, თითქოს სიძვირეს ემუქრება შფოთის აწევით".

ყველაფერს და ყველას ნახავ, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველს კი, სანთლით რომ ეძებო, ვერ დაინახავ, ვერსად ნახავ წითესამკლაურიან სახალხო რაზმელსაც, ესე იგი საზოგადოებრივ კონტროლიორს. ბაზარი შედგება მყიდველ-გამყიდველისაგან და... სპეკულანტისაგან.

არავის არა აქვს უფლება აკრძალოს ვაჭრობა, იყიდოს და გაყიდოს ადამიანმა, რაც მას უნდა, რის კანონიერი უფლებაც აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ დღესდღეობით ჩვენს რესპუბლიკაში ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვის საქმე სათანადოდ არ არის მოგვარებული. მართალია, არსებობს საკომისიო მაღაზიები, სადაც ფორმდება ნასყიდობა, მაგრამ ეს რომ არ კმარა! როგორც ჩანს უნდა გამოიძებნოს რაღაც ისეთი საშუალება, რომლითაც ოფიციალურად კანონის და წესის დაცვით შესაძლებელი იქნება პირად მფლობელობაში არსებული ნახმარი ავტომობილის ყიდვა-გაყიდვა. ერთი სიტყვით, უნდა გადაწყდეს ნახმარი ავტომანქანების გაყიდვისათვის ბაზრის მოწყობის საკითხი, სადაც სათანადო კონტროლი და წესრიგი იქნება დამყარებული.

ვნახოთ, ეგებ ამჯერად მაინც მოწესრიგდეს ეს საქმე და ქორვაჭრებსა და თვალთმაქცებს იაღლუჯის კალთებზე საშუალება არ მიეცეს თავიანთ ნებაზე ინავარდონ.

ბ. ბახტურიძე.

ახალი პროგრამით

საბჭოთა ბალტიისპირეთში საგასტროლოდ გაემგზავრნენ საქართველოს მუსიკოსთა და ქორეოგრაფთა საზოგადოების კამერული ორკესტრი „თბილისის კამერატა" და კამერული გუნდი. ქართველი მუსიკოსები გამოვლენ ვილნიუსში, კაუნასში, შიაულიაიში, ტალინში, ტარტუში. საგასტროლო ტურნე დამთავრდება ლენინგრადში, სადაც ამ კოლექტივის ხელოვნებას კარგად იცნობენ იქ გამართული არაერთი კონცერტის მიხედვით.

„თბილისის კამერატა" დიდად პოპულარულია საბჭოთა მსმენელთა შორის. მის სახელთან არის დაკავშირებული კლასიკოსების, დასავლეთევროპელი და საბჭოთა კომპოზიტორების მრავალი შესანიშნავი ნაწარმოების შესრულება.

ახლანდელი გასტროლებისათვის კოლექტივმა საინტერესო პროგრამა მოამზადა. გაიმართება რამდენიმე პრემიერა, მათ შორის ბახის 21-ე კანტატისა, ჰენდელის „კონჩერტო გროსო № 6"-ისა. პირველად აჟღერდება საბჭოთა პოეტების სიტყვებზე შექმნილი კანტატა სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის „სიყვარულის ფურცლები", რომელიც დაწერა ორკესტრის ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა კომპოზიტორმა შავლეგ შილაკაძემ.

ამ გასტროლების დამთავრების შემდეგ ორკესტრი მარტში კონცერტებს გამართავს მინსკში, აპრილში — ერევანში, შემდეგ გაიმართება შეხვედრები ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების მსმენელებთან. (საქინფორმი).

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

19 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია". 9.35 — მხატვრული ფილმი „მკვლელობა დანტეს ქუჩაზე". 11.15 — კონცერტი. 11.35 — „ბატალიონები ცეცხლს თხოულობენ". I სერია. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 17.00 — რუსული მეტყველება. 17.35 — ფილმ-კონცერტი „მღერის ივანე პეტროვი". 17.55 — საჭადრაკო სკოლა. 18.25 — კონცერტი. 19.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 19.30 — მხიარულ ტალღაზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ამ დღეების ფოსტა. პოლიტიკური მიმომხილველი ვ. ბეკატოვი განმარტავს ტელემაყურებელთა წერილებს. 20.30 — ე. სვეტლანოვი — პრელუდია და სკერცო კლარნეტისა და ფორტეპიანოსათვის. 20.45 — „ბატალიონები ცეცხლს თხოულობენ". II სერია. 22.00 — „ერემია". 22.45 — დოკუმენტური ფილმი „შეთქმულება საბჭოეთის წინააღმდეგ". 23.50 — დღეს მსოფლიოში. 0.05 — კალათბურთი. თასების მფლობელთა თასი. ვაჟები. ნახევარფინალი. „ჟალგირისი" — საფრანგეთის „ასველი".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „ტრასა". 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 13.35 — ფრანგული ენა. 12.05 — ჩვენი ბაღი. 13.05 — „ბუნებისმეტყველების" ფოსტა. 14.05 — ე. ჰემინგუეი. ცხოვრება და შემოქმედება. 14.55 — საბჭოური სახვითი ხელოვნება. 15.25 — სამგზის წითელი დროშის ორდენოსანი გენერალ-მაიორის ა. თ. სერგეევის ცხოვრების გზა. 19.15 — თანამეგობრობა. 19.45 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.30 — ჰოკეი. ცსკა — „ხიმიკი". 22.00 — „ერემია". 22.45 — მხატვრული ტელეფილმი „უბრალოდ საშა". 23.55 — დოკუმენტური ფილმი „ბრიგადა: ახალი ეტაპი".

თბილისი

19 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია". 9.30 — მოამბე. 10.05 — ქართული კინოს ისტორიიდან. მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში". I და II სერია (საქართველოში გლეხთა გამოსვლის 80 წლისთავის გამო). 12.30 — ჩვენს დიადი სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საწვავის ქალაქი". 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ლ. კვაჭაძე). 13.30 — ახალი ამბები. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია (სტუდიაშია გ. ჭირაქაძე). 14.15 — კინოჟურნალი „მინდა, ყველაფერი ვიცოდე". 14.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ასეთი განსხვავებული ხასიათები". 15.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ ტიხონოვი — „დრონი და გზები". 16.05 — ახალი ამბები. 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ა. ბათიაშვილი). 16.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხიტა ქუთათელაძე". 17.10 — პროგრამა მოსწავლეთათვის: ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩირიკი და ჩიკოტელა". 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.15 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამი ამბავი ტელეფონით". 18.45 — განცხადებები. 18.50 — „ეთნოგრაფია ხალხის სამსახურში". 19.25 — „ცეროდენას ეკრანი". 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — მღერის მ. ნამორაძე. 21.10 — ახალგაზრდობისათვის — „ცხვარ-მეცხვარეს გაუმარჯვეს, ყიზლარის მზეო!" გადაცემა პირველი — „ყიზლარი" (ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 64-ე წლისთავს). 21.45 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ერემია". 22.45 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ბავშვთა სამყარო" (კინოსტუდია „მოსფილმის" ნაწარმოები. მთავარ როლებში: ნ. გუნდარევა და დ. ბანიონისი). 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.20 — მხატვრული ფილმი „გოგონები". 17.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „დიალოგი მზესთან". 18.10 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია.

ჭადრაკი

ჭადრაკის დაფასთან

რიგაში — მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) ბოლოსწინა, მეთერთმეტე ტურში ჩერნინმა დაამარცხა კუპრეიჩიკი, მიხალჩიშინმა — ეინგორნი. დაზავდნენ სვეშნიკოვ-ბალაშოვი, რაზუვაევ-სმაგინი და ტუკმაკოვ-გავრიკოვი. გადადებული პარტიების დამთავრებისას ჩერნინმა მოუგო გურგენიძეს, კუპრეიჩიკმა — გავრიკოვს, ლპუტიანმა — კუპრეიჩიკს, ტუკმაკოვმა — ლპუტიანს, გელერმა — ლერნერს, ფსახისმა — ლპუტიანს. ყაიმით დასრულდა აგზამოვ-ბალაშოვის, ტუკმაკოვ-ეინგორნის, ბალაშოვ-ლერნერის და სოკოლოვ-გურევიჩის პარტიები. ბოლო ტურის წინ ჩერნინს 11 ქულა ჰქონდა, ხოლო გავრიკოვს — 10,5. ბოლო ტურის პარტიები გუშინ გათამაშდა.

ანგოლის დედაქალაქ ლუანდაში გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. აქ ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი და ელიზბარ უბილავა. მეცხრე ტურის შემდეგ მათ 8-8 ქულა ჰქონდათ. 7,5 ქულით მესამე ადგილზე იყო დიზდარევიჩი (იუგოსლავია).

ზიმბაბვეს დედაქალაქ ხარარეში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. აქ წარმატებით იასპარეზა და პირველობა მოიპოვა თბილისელმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

სატურნირო ორბიტა

ბიათლონი. რუპოლდინგში (გფრ) დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების ბოლო ორი კომპლექტი. 10 კილომეტრზე რბოლაში ოქროს მედალს დაეუფლა ფ.-პ. რიოში (გდრ), ვერცხლისას — ე. კვალფოსი (ნორვეგია), ბრინჯაოსას — ი. პასლერი (იტალია). 4X7,5 კმ-ზე ესტაფეტაში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ი. კაშკაროვი, ა. შალნა, ს. ბულიგინი და ა. ზენგოვი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გდრ-ის, მესამეზე — გფრ-ის სპორტსმენები.

ბადმინტონი. მოზარდთა შორის მოსკოვში დამთავრებულ სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრებაზე სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ფინალური შეხვედრა მოუგო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს ანგარიშით 3:2 და პირველობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრების ღირსებას სხვებთან ერთად იცავდა თბილისელი სპორტსმენი დავით კავილაძე. მან ერთეულთა შორის პირად ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა (ფინალური შეხვედრა წააგო ომსკელ ანდრია ანტროპოვთან), ხოლო ანტროპოვთან ერთად ვაჟთა წყვილებში პირველობა მოიპოვა.

მძლეოსნობა. მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის მრავალჭიდელ ვაჟთა სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა — 29153:26649. შეიდჭიდელთა შეჯიბრების პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ალმაათელი ს. ოვსიანიკოვი — 5963 ქულა. ამ შედეგმა მას სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაც მოუტანა.

კალათბურთი. ლენინგრადში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე და მესამე შეხვედრები მესამე საპრიზო ადგილისათვის. ლენინგრადის „სპარტაკმა" ორივე მატჩი მოუგო კიევის „სტროიტელს" (65:60 და 70:67) და საპრიზო ადგილს დაეუფლა. შეგახსენებთ, ლენინგრადელებმა მხოლოდ პირველი მატჩი წააგეს (75:92).

ბობსლეი. შვეციის ქალაქ სანკტ-მორიცში რიგელმა ზინტის ეკიპაჟისმა და კრასნოიარსკელმა ვლადიმერ ალექსანდროვმა წყვილთა ეკიპაჟებს შორის ევროპის ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს.

ციგურებით სრიალი. ნორვეგიის ქალაქ ჰამარში მსოფლიო ჩემპიონის წოდებას დაეუფლა ჰოლანდიელი ჰეინ ვერგეერი. მრავალჭიდში მან 166,931 ქულა დააგროვა. მეორე იყო მოსკოველი ოლეგ ბოჟიევი (167,679), მესამე — ჰოლანდიელი ჰილბერგ ვან დერ დეიმი. (167,718).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

სსრ კავშირის 1985 წლის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნა

1985 წლის 1 მარტი ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო" — მოსკოვის „დინამო".

მატჩის დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

1985 წლის საფეხბურთო აბონემენტები, ფეხბურთის და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 21 თებერვლიდან 25 თებერვლამდე. ფეხბურთის და ლატარიის ბილეთები, შეფარდებით ერთი ერთზე გაიყიდება სტადიონის სალაროებში 21 თებერვლიდან 1 მარტის 12 საათამდე.

საფეხბურთო აბონემენტების საერთო გაყიდვა — სტადიონის სალაროებში 21 თებერვლიდან.

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისათვის და სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთები შეუძლიათ შეიძინონ სტადიონის № 7 სალაროში.

სტადიონის სალაროები იმუშავებენ 10 საათიდან 19 საათამდე, შესვენება — 14-დან 15 საათამდე.

„კომუნისტი"
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 93-16-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და არასრ მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-69-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.
საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; გორი — 2-38-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44 ზესტაფონი — 5-56-86; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08484 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქორპუსი, ხოზარაული 29.